ს. ჭანტურიშვილი

კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები

(ზოგადი მიმოხილვა)

თბილისი 1997

რედაქტორი — თ. ცაგარეიშვილი
რეცენზენტი — გ. ჩინჩალაძე

წინასიტყვაობა

თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით კამპაფრებული ეთნოკონფლიქტების პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დედამიწის ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის ეთნოგენეზის, ეთნიკური განვითარებისა და ისტორიის მეცნიერულ კვლევას. კავკასია, თანამედროვე მსოფლიოს იმ რეგიონთაგანია, სადაც ეთნიკურმა კონფლიქტებმა მეტად მწვავე ფორმები მიიღო და იგი ჰოლიტიკურ და ეკონომიკურ კონფლიქტებს გადაეფარა. დედამიწის ამ რეგიონში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რუსეთის მიერ გატარებულმა კოლონიურმა ჰოლიტიკამ, ერთ დროს ერთმანეთის მომმე, ეროი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი კავკასიის ხალხები, ეოველ შემთხვევაში მათი ერთი ნაწილი მაინც, ხამკედრო-სასიცოცხლოდ დააჭირისჭირა და მოსისხლე მტრებად გადაკიდა ერთმანეთს. ცხადია, ასეთ ვითარებაში საისტორიო მეცნიერების, საერთოდ ნებისმიერი სხვა ჰუმანიტარული ხასიათის მეცნიერების, მოვალეობაა ხალხთა წარმოშობის, მათი წარსული ისტორიული თანაცხოვრების, მეკობრობის, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის სახელოვანი ფურცლების გამოცოცხლება, მომავალი თაობებისთვის ჭეშმარიტი სურათის მიწოდება უსეკდოსაფუძველზე დამყარებული და ჰოლიტიზირებული თეორიების საჭირისჭიროდ.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომის დანიშნულება — კავკასიის ხალხთა ისტორიის, ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების ზოგადი მიმოხილვა, აქტუალური და მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ჩანს. ნაშრომის დანიშნულებაა თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, საფდეისოდ მეცნიერებაში დაგროვილი მასალისა და ცოდნის მიხედვით, მიმოიხილოს კავკასიის აბორიგენი, აქ წარმოშობილი და განვითარებული ხალხების ეთნიკური ისტორია. ცხადია, ეს საკითხი მეტად ვრცელია, რთულია, ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებების მატარებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, აქტუალურია და მისი წარმოდგენა თუნდაც იმ დონით და მოცულობით, როგორც აქ არის მოცემული, აუცილებელია.

წინამდებარე ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. პირველში წარმოდგენილია კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის ისტორია, ხოლო მეორეში განხილულია კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ნაწილში საკითხების მხოლოდ ზოგადი მიმოხილვაა წარმოდგენილი. ამასთანავე, ნაშრომი ძირითადად კომპილაციური ხასიათისაა. დამყარებულია, როგორც ავტორის, ასევე, სხვების მიერ გამოქვეყნებულ შრომებზე — იგი ლექციების კურსია, და როგორც ასეთს, მეტი არც მოეთხოვება.

ნაწილი I

კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის ისტორია

კავკასია, როგორც ეთნიკურად დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მრავალეროვანი, სხვადასხვა ხალხებით დასახლებული რეგიონი, მკვლევართა საგანგებო შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა და წარმოადგენს აქ მოსახლე ხალხების კულტურისა და ყოფის თვალსაზრისით.

ცნობები კავკასიის ხალხებისა და ტომების შესახებ უძველესი დროიდანვე მოიპოვება სხვადასხვა წერილობით ძეგლებში. ეს ცნობები ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ ფართოდ გამოიყენა უკვე XIX საუკუნეში, ეთნოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისთანავე. ინტენსიურად მიმდინარეობს კავკასიის, როგორც ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო რეგიონის და აქ მოსახლე ხალხების, ყოფისა და კულტურის შესწავლა XIXს-დან, რომელმაც თანდათან გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო და არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომით აღინიშნა.

ძველი წ.ა. VII-V საუკუნეებში, როდესაც მიმდინარეობდა ე.წ. ბერძენთა დიდი კოლონიზაცია, როგორც ცნობილია, მათ ახალშენები დაარსეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე. მათვე დაიწყეს პირველი ცნობების შეკრება აქ მოსახლე ტომების შესახებ, რომელთა

შორის მრავალად მოიპოვება შეტად ფასეული ეთნოლოგიური ხასიათის ცნობები. უძველესი ასეთი ცნობები მოეპოვებათ ბერძენ ავტორებს, ე.წ. „ლოგოგრაფოსებს". ესენია ძვ.წ. VI-V საუკუნეების ავტორები — პეკატე მილეტელი, პელენიკე მიტილენელი და სხვა, რომელთა ჩანაწერებმა ჩვენამდე მოაღწია უფრო მოგვიანო ხანის ავტორთა მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ანტიკურ ავტორთაგან ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხთა, კერძოდ, კოლხების შესახებ მოეპოვება ძვ.წ. Vს-ის ბერძენ ისტორიკოსს — „ისტორიის მამას" *ჰეროდოტეს* (ძვ.წ. 484-425).

გარდა ემპირიული ხასიათის ცნობების გადმოცემისა, მნიშვნელოვანია ის, რომ ჰეროდოტე გადმოგვცემს, მაგალითად, თავის მოსაზრებებს კოლხების ჩამომავლობის შესახებ. ჰეროდოტეს ისინი ეგვიპტელების ჩამომავლად მიაჩნია. სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორია ეს თვალსაზრისი, მაგრამ ჩვენთვის აქ მთავარია ის, რომ ჰეროდოტე თავისი ამ მოსაზრების გადმოცემისას მხოლოდ ზოგადი განცხადებით არ კმაყოფილდება — იგი გარკვეულ არგუმენტებსაც გვთავაზობს მის დასამტკიცებლად (ორივე ხალხის ხუჭუჭთმიანობა, ორივე ხალხში წინადაცვეთის წესის გავრცელება და სხვა), რაც, უკვე კავკასიის ხალხთა, კერძოდ კოლხების შესახებ ეთნოლოგიური მეცნიერული ცოდნის ჩასახვის მაჩვენებელია.

ასევე ფასეულია ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვის, ანტიკური ეპოქის ცნობილი ექიმისა და გამოჩენილი ბუნებისმეტყველის *ჰიპოკრატეს* (ძვ.წ. 460-337) ცნობები იმავე კოლხების შესახებ. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებას და იმ გეოგრაფიულ გარემოს, რომელშიც ადამიანებს

უხდებოდათ ცხოვრება. ამდენად, კოლხეთისა და კოლხების აღწერისას იგი დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის იმდროინდელი კოლხეთის ბუნების შესახებ.

ჰიპოკრატეს აღწერით კოლხეთი ჭაობიანი, თბილი და წყლიანია. მისი ცნობით, წლის ყოველ დროს აქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. წყლისგან, გადმოგვცემს ის, ქვეყანას დიდი ნისლი ადგას, ხოლო ადამიანებს ყვითელი ფერი ადევთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთო. ცხადია, ჰიპოკრატეს ცნობები შეეხება მალარიით დაავადებულ ადამიანებს, ხოლო ეს დაავადება, რომელიც აქ უძველეს დროსვე ყოფილა გავრცელებული, ამ კუთხეში მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში იქნა დაძლეული.

ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა, ისტორიკოსმა და სარდალმა *ქსენოფონტემ* (ძვ.წ. 434-355), ავტორმა განთქმული ნაშრომისა „ანაბაზისი", ბერძენთა ჯარის სპარსეთის დედაქალაქიდან უკან საშობლოში დაბრუნების აღწერისას, გადმოგვცა ეთნოლოგიური ხასიათის საინტერესო ცნობები იმ ქართველი ტომების შესახებ, რომელთა ტერიტორიაზეც მან გაიარა ამ ჯართან ერთად. აქ მას მოუხდა გავლა ქართველების წინაპარი ზოგიერთი ძველი ტომის — *მოსინიკების, ტაოხების, კოლხების, კარდუხების* და სხვათა ტერიტორიებზე.

ერთ-ერთი საყურადღებო ეთნოლოგიური ცნობა, რომელსაც ამ ტომების შესახებ გადმოგვცემს ქსენოფონტე ისაა, რომ მათში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ხის კოშკების კულტურა. ეს აქ იმდენად გავრცელებულია და მიღებულიო, გადმოგვცემს ის, რომ ერთ-ერთი ტომის ბელადს, მის მეფეს, ვიდრე იგი მეფობს, კოშკიდან ჩამოსვლის უფლება არა აქვს და იქიდან განაგებს ტომის საქმეებსო. შეიძლება ქსენოფონტეს ცნობა

ტომის ბელადის მუდმივად ხის კოშკში ცხოვრების შესახებ, ისე, რომ მას თითქოს, სანამ ტომის საქმეებს განაგებდა იქიდან ჩამოსვლის უფლებაც არ ჰქონდა, რამდენადმე გადაჭარბებული იყოს, მაგრამ არსებითია და მნიშვნელოვანი ის, რომ ძველ კოლხეთში საცხოვრებელი სახლების ხის მაღალ ხიმინჯებზე აგება არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა. ამდენად, გარკვეული კრიტიკული მიდგომის შემდეგ, ქსენოფონტეს და სხვა ანტიკურ ავტორთა ეთნოლოგიური ცნობები, როგორც ჩანს, სავსებით შესაძლებელია გამოვიყენოთ ძველი კოლხების, ამ შემთხვევაში კავკასიის ხალხების ეთნოლოგიური ყოფის აღსადგენად.

ანტიკურ ავტორთა შორის საგანგებოდ უნდა გამოიყოს *სტრაბონი* (ძვ.წ. 68 — ახ.წ.44), გამოჩენილი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი, რომლის ცნობები ქართველ ტომთა შესახებ, სხვა ავტორებთან შედარებით, სიუხვით და სანდოობით გამოირჩევა. თავის ცნობილ ნაშრომში „გეოგრაფია", მან თავი მოუყარა, როგორც მის მიერ შეკრებილ, ასევე სხვა ავტორებთან შემონახულ ცნობებს. ამ ნაშრომიდან ჩანს, რომ სტრაბონს საფუძვლიანად უნდა სცოდნოდა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს სინამდვილე. როგორც ჩანს, შეიძლება ამის მიზეზი ისიც არის, რომ დედამისი ჩამომავლობით ლაზი იყო, თვითონ ცხოვრობდა ქალაქ ამასიაში, ხოლო ბიძამისს (დედის ხაზით) ურთიერთობა ჰქონია ქართველი ტომების წარმომადგენლებთან.

იმდენად მნიშვნელოვანია და მრავალფეროვანი სტრაბონის ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველების შესახებ, რომ ისინი რამდენიმე ჯგუფად იყოფა

იმის მიხედვით, თუ ადამიანთა ცხოვრების, საქმიანობის, ყოფისა და კულტურის რომელ სფეროს განეკუთვნება.

ანტიკურ ავტორთა შიერ კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის ისტორიის გადმოცემისას, საჭიროდ მიგვაჩნია სტრაბონის მიერ დაცული ცნობების მაგალითზე, შედარებით დაწვრილებით გადმოვცეთ ეს ისტორია და ყაჩვენოთ მათი წყლილი ამ საქმეში.

სტრაბონი, იბერიის აღწერისას, საგანგებოდ მიუთითებს *მთისა* და *ბარის* მოსახლეობის, როგორც ზნე-ჩვეულებების, ისე მათი მეურნეობის განსხვავებული ხასიათის შესახებ. ამ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ერთ-ერთ მეცნიერულ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს, რადგან განსხვავება მთასა და ბარს შორის — სოციალური განვითარების სფეროში, ყოფასა და კულტურაში, დღესაც თვალსათელია და ასე იყო მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში.

სტრაბონის ცნობით, კოლხეთსა და იბერიაში სახეზეა *კულტურის მალალი დონე.* აქ ბევრია ქალაქი, რომელთაც აქვთ ბაზრები, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, აბანოები, საფუნდუკეები და სხვა. შენობები აგებულია არქიტექტურული ნორმების მიხედვით, გადახურულია კრამიტით და მორთულია ხუროთმოძღვრული სამკაულებით. ყველაფერი ეს კარგად დასტურდება, როგორც იბერიის, ისე კოლხეთის ძველი ქალაქების (მცხეთა, ქუთაისი, ვანი, უფლისციხე...) არქეოლოგიური გათხრების დროს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მკვლევართა შორის სტრაბონის ცნობები ქვეყნის *სოციალური შემადგენლობის* შესახებ. ქვეყნის მოსახლეობას იგი ჰყოფს ოთხ გვარად ანუ

როგორც თვითონ უწოდებს, ოთხ გენედ. (საძეფო გვარი, ქურუმთა გვარი, შეომარ-მხედართა გვარი და მონები). საზოგადოების ასეთი სოციალური დიფერენციაცია, თუნდაც იგი ხუსტად არ შეესაბამებოდეს არსებულ სინამდვილეს, მაინც უთუოდ გულისხმობს იმ დროისთვის მონათმფლობელობის არსებობას, რაც კარგად დასტურდება არქეოლოგიური გათხრებით.

იბერიაში გავრცელებული *სარწმუნოების* შესახებ ცნობების გადმოცემისას, სტრაბონი აღწერს, რომ აქ გავრცელებული ძირითადი რელიგია იყო მნათობთა თაყვანისცემა, კერძოდ, თაყვანისცემა მთვარის ღვთაებისადმი. გარდა იმისა, რომ მის ამ ცნობას კარგად ეთანხმება XIს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობა ქართველთა შორის მნათობთა თაყვანისცემის შესახებ, ეს მონაცემები დასტურდება სულ უკანასკნელ ხანებამდე თანამედროვე ეთნოლოგიურ სინამდვილეში თეთრი გიორგის კულტის არსებობის სახით.

მრავალრიცხოვან ბიზანტიელ ავტორთა შორის, რომელთაც ცნობები მოეპოვებათ კავკასიის ისტორიის და ამ შემთხვევაში ეთნოლოგიის შესახებ, საგანგებოდ უნდა გამოიყოს VI საუკუნის ავტორი *პროკოპი კესარიელი.* 543-554 წწ თარიღდება მისი ვრცელი ნაშრომი „იუსტინიანეს ომების ისტორია", რომლის ერთ-ერთი მონაკვეთი შეიცავს ცნობებს კავკასიის ზოგიერთი ხალხის წეს-ჩვეულებების შესახებ. კავკასიის ხალხებს შორის იგი აღწერს ლაზებს, სანებს, სომხებს, მესხებს, იბერებს, ალანებს, აბასგებს, საბირებს და სხვა. საინტერესოა, რომ იგი საგანგებოდ განიხილავს ლეგენდას ამაზონთა ტომის შესახებ და მას კავკასიას უკავშირებს, ცდილობს ამ ლეგენდაში სინამდვილის მოძიებას.

კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური ყოფის შესახებ მეტად საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც დაცულია სომეხი და ქართველი ისტორიკოსების თხზულებებში. სომეხ ავტორთაგან აღსანიშნავია V ს-ის სომეხი ისტორიკოსების, სომხეთის ისტორიის მამად და „სომეხ პეროდოტედ" მიჩნეულის *მოვსეს ხორენაცის* (დაიბადა დაახ. 410წ.) და *ლაზარ პარფეცის* (დაიბადა დაახ. 440-443წწ. შორის) ცნობებს.

ქართველთა უძველესი სარწმუნოების, კერძოდ, მნათობთა თაყვანისცემის შესახებ, მეტად საყურადღებო ცნობები აქვს დაცული XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს. მისი ცნობით, ქართველები მზეს, მთვარეს და ხუთ მნათობს სცემენ თაყვანს.

შუა საუკუნეების მწერალთა და მოგზაურთაგან საში ავტორი — *პლანო კარპინი, რუბრუკვუსი* და *მარკო პოლო* პირველი ევროპელები არიან, რომელთაც იმოგზაურეს ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიცაა მონღოლეთი და ჩინეთი და დაგვიტოვეს გარკვეული ეთნოლოგიური ცნობებიც ამ ხალხების და აგრეთვე, იმათ შესახებაც, ვისაც მოგზაურობის დროს გზად შეხვდნენ.

მათ შორის, XIII—XIV სს. ამ საში ავტორის ცნობებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმდროინდელი ქართული ეთნოლოგიური სინამდვილისთვის. მონღოლეთში წასვლისას ისინი გზად გადადიოდნენ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. მათი ცნობებიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ კახეთში იმდროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშის ცხენები ყოფილა. აქ მზადდებოდა მაღალი ხარისხის აბრეშუმი, რომელსაც დიდი გასავალი ჰქონია სხვა ქვეყნებშიც და სხვა.

საინტერესოა, რომ ევროპელი ავტორების ეთნოლოგიურ

ცნობებს მათ მიერ აღწერილი ხალხების, განსაკუთრებით მონღოლების შესახებ, კარგად უთანხმდება ის ცნობები, რომელიც მათ თანამედროვე ადგილობრივ ავტორებთან, მაგალითად, XIV ს-ის ქართველი ანონიმ ისტორიკოსთან, ე.წ. ჟამთააღმწერელთანაა დაცული.

გვიანი შუასაუკუნეების ავტორებს შორის, რომელთაც კავკასიის ხალხთა შესახებ ეთნოლოგიური ცნობები შემოუნახავთ, საგანგებოდ გამოირჩევა გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი და გეოგრაფი *ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი).* მან შეიმუშავა მწყობრი მეცნიერული თეორია საზოგადოების ცხოვრებაში გეოგრაფიული გარემოს როლისა და მნიშვნელობის შესახებ და თანმიმდევრულად გაატარა იგი დიდი მოცულობის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". ამ ნაშრომში საქართველოს და აგრეთვე, კავკასიის მთიანეთის ზოგიერთი სხვა ხალხების ისტორიის გადმოცემას წინ უძღვის გეოგრაფიული აღწერილობა. ამასთანავე, ვახუშტი ბატონიშვილმა თავის ნაშრომს დაურთო საგანგებო თავი „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი". მასში წარმოდგენილია ცნობები ქართველთა ზნე-ჩვეულებების, უძველეს დროს კერპთა თაყვანისცემის „ერისთავთა, მთავართა, აზნაურთა, ვაჭართა, მსახურთა და მუშაკ-გლეხთა" სოციალური მდგომარეობის, ლაშქრის, საჭურვლის, სამართლის და ცხოვრების სხვადასხვა მხარისა და ყოფის შესახებ. ვახუშტის ნაშრომი და განსაკუთრებით მისი ეს თავი ამჟამადაც ძვირფას მასალას შეიცავს იმდროინდელი და წინა ეპოქების ეთნოლოგიური შესწავლისთვის.

მას შემდეგ, რაც დაიწყო დიპლომატიური კავშირები

საქართველოსა და კავკასიის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის, ერთი მხრივ, და რუსეთის სახელმწიფოს შორის, მეორე მხრივ, ეთნოლოგიური ცნობების და მასალის უმრავლესობა რუსულენოვან წყაროებშია თავმოყრილი.

კავკასიის შესახებ რუსული ცნობები ადრეულ ჩნდება და ჯერ კიდევ XI ს-ის საისტორიო ძეგლში „გარდასულ წელთა აბბავი" მოიპოვება მასალები კავკასიის ტომების — იასების, კასოგების, ობეზების შესახებ. კერძოდ, აქ მოთხრობილია იმის შესახებაც, რომ კიევის წმ. სოფიის ტაძრის მოზაიკით შემკობაში მონაწილეობა მიუღიათ ობეზ ე.ი. აბხაზ, ანუ დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულ ხელოსნებს.

გარდა ობეზებისა მატიანეში, სხვადასხვა წლის აბბების გადმოცემისას (1022, 1065, 1154, 1223 და სხვა) მოიხსენიებენ კავკასიის სხვა ხალხებსაც: იასები (ანუ ალანები), კასოგები (ანუ ადიღე-ჩერქეზები), ხოლო 1346 და 1395 წწ. მოიხსენიებიან სომხები, ობეზები, ჩერქეზები და ქართველები.

კავკასიის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცნობა რუსულ მწერლობაში მოეპოვება რუს მოგზაურსა და ვაჭარს *ათანასე ნიკიტინს,* მან 1466-1472წწ. იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. კერძოდ, მას მოეპოვება ცნობები კასპიის ზღვაში მგზაურობის დროს ორი გემიდან ერთ-ერთის დაღუპვის, თანამგზავრებთან ერთად ნაპირზე გადასვლის, კაიტაკების მიერ მისი და მისი ამხანაგების ტყვედ ჩაგდების, ხოლო შემდეგ დარუბანდსა (დერბენტს) და ბაქოში ჩასვლის შესახებ. მართალია, აქ წმინდა ეთნოლოგიური ხასიათის ცნობებს არ ვხვდებით, მაგრამ საინტერესოა თვით ფაქტი კავკასიის ზოგიერთი ხალხების და გეოგრაფიული ადგილების დასახელებისა და მოკლე აღწერისა.

1634-1637წწ. დადებული აღთქმის შესასრულებლად, აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში — იერუსალიმსა და ეგვიპტეში უმოგზაურია რუს ვაჭარს *ვასილ გაგარას.* ამ ადგილებში იგი მოხვდა კავკასიის გავლით და მოუნახულებია ტფილისი და ერევანი. მან დატოვა ამ ქალაქების მოკლე აღწერილობანი — მეტად ღარიბი ეთნოლოგიური თვალსაზრისით და აღსავსე ფანტასტიკური ცნობებით. მაგ. ჯ. გაგარა წერს, რომ მდინარე მტკვრის მიდამოებში არის მთა, რომელშიც გაჭრილია 4 დიდი სარკმელი, იმ მთაზე ცხოვრობს კაციჭამია, რომელიც ყოველ-დღე თითო ადამიანს ჭამს.

XVIIს-ში მოეწყო *სამი ელჩობა* მოსკოვის სამეფოდან საქართველოში. პირველი მათგანი 1639 წელს გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ თათრული ენის თარჯიმანი *ფეოდოტ ელჩინი* და მღვდელი *პავლე ზახარიევი.* ისინი გაემართნენ ლევან I დადიანის კარზე და 1640 წელს, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, ორივე მათგანმა შეადგინა თავიანთი ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა ("**Статейный список**"). პ. ზახარიევის აღწერილობა მთლიანად რელიგიურ და საეკლესიო ამბებს გადმოსცემს, ხოლო ფ. ელჩინის მოხსენებას დართული აქვს „დადიანის ქვეყნის" მოკლე აღწერილობაც, რომელშიც ვადმოცემულია იმდროინდელი საშეგრელოს მოსახლეობის წესჩვეულებები, ცნობები ვაჭრობის, მიწის დამუშავების, საქმლის, სუფრის წესების, ქორწინების შესახებ.

მეორე ელჩობა გაიმართა 1640-1643წწ. კახეთში, თეიურაზ I-ის კარზე და მასში მონაწილეობდნენ თაყადი ეფიმ მიშეცკი და დიაკი *ივან კლუჩარიოვი.* მათ მიერ შედგენილი მოკლე მუხლებრივ აღწერილობაში გადმოცემულია ცნობები კახეთში

მეღვინეობისა და სამხედრო საქმის შესახებ.

მესამე ელჩობა გაიმართა იმერეთში 1650-1652წწ. სტოლნიკ *ნიკიფორე ტოლლოჩანოვისა* და დიაკ *ალექსი იევლევის* მონაწილეობით. მათ მიერ შედგენილ ანგარიშში გადმოცემულია ცნობები სამეფო კარის ცხოვრებისა და საეკლესიო ყოფის შესახებ, სუფრის წესების, სამხედრო საქმის, ტანსაცმლის, მიწის დამუშავების, ვაჭრობის, საჭმლის და სასმელების, საცხოვრებლის, საბრძოლო კოშკებისა და სხვა აღწერილობანი.

XVIIIს-დან რუსეთის ხელისუფლება იწყებს კავკასიის ინტენსიურ შესწავლას მომავალში მისი შემოერთების მიზნით.

1717-1720 წწ. პეტრე I-ის დავალებით სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში იმოგზაურა სამედიცინო კანცელარიის კოლეგიის წევრმა, წარმოშობით გერმანელმა ლეიბ-მედიკმა *გოტლიბ შობერმა.* საინტერესოა, რომ იგი 1733 წლიდან უკვე იმ დროს მოსკოვში მცხოვრებ ქართლის მეფის ვახტანგ VI—ის ლეიბ-მედიკი იყო. გ. შობერმა თავისი მოგზაურობის დროს შეკრიბა დიდძალი მასალა და მათ შორის ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ. მას მოეპოვება ცნობები ნოღაელებისა და დაღესტნის ხალხების შესახებ. თუმცა, ხშირად ეს ცნობები გულუბრყვილოა და არასწორი. მაგალითად, გოტლიბ შობერი ლეგენდას ამორძალების შესახებ სინამდვილედ მიიჩნევს. აღწერს რა დაღესტანს იგი ამბობს, რომ ამ ქვეყნის სხვადასხვა ხალხებს შორის (დღესაც შეინიშნება დაღესტანში ხალხთა სიჭრელე) ცხოვრობდნენ ოდესღაც მამაცი ამორძალები. ახლა მათ აქ ვეღარ შეხვდებით. მაგრამ სომეხი და თათარი ვაჭრების გადმოცემით ამორძალების ნაწილი ცხოვრობს „დიდი თათრეთის“ ზოგიერთ მთაზე და ეძახიან მათ „ამაზუნ“-ებს.

ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის კავკასიის ამორძალების შესახებ ინგლისელი მანდილოსანი *მერი გერსი*. იგი წერს, რომ კავკასიის იმ ნაწილში, სადაც ამორძალები ცხოვრობდნენ, ამჟამად ჩერქეზები არიან და მათი ჩვეულებით შეიძლება ვიმსჯელოთ ამ ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი მოსახლეობის შესახებ. ამჟამადაც, ამბობს მერი გერსი, ქალები ცალკე ცხოვრობენ მამაკაცებისგან, ახლაც შეტაკებების დროს ბრძოლის ველზე ხშირად ნახავთ ქალებს შეიარაღებით. ამის საფუძველზე — წერს გერსი — ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ აღმოაჩინა მებრძოლ ქალთა თემი, რომლებიც ცხოვრობენ მამაკაცებისაგან ცალკე და მხოლოდ იმიტომ არიან მათთან სქესობრივ კავშირში, რომ შიში აქვთ ამორძალთა სახელმწიფოს გაქრობისაო. ძველი ჩვეულებით, ჩერქეზებში ქალები ცხოვრობენ ცალკე და მათი ქმრები ცოლებთან ღამით ჩუმად მიდიან ღამის გასათევად.

ლეგენდას ამორძალების შესახებ ქართულ სინამდვილესაც შიაწერენ. XIXს-ის 70-იან წლებში, კავკასიაში დიდხანს მომუშავე მეცნიერმა, არქეოლოგმა *ფრიდრიხ ბაიერნმა*, ხევსურეთში 1870 წლის გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მიხედვით, აღნიშნა, რომ ერთ-ერთ სამარხში ქალს საკაულებთან ერთად ჩატანებული ჰქონდა ისრისპირები, რკინის დანები და სხვა ნივთები. სხვა სამარხებშიც — ამბობს ბაიერნი — ასეთივე ისრისპირები და დანები აღმოჩნდა საკაულებთან ერთად. ასევე საკმაოდ ბევრი საბრძოლო ნივთი მოიპოვა ბაიერნმა სოფელ სტეფან-წმინდის (ყაზბეგის) გათხრების დროს. ახასიათებდა რა ამ მასალებს, ბაიერნი წერდა: ნაპოვნი ნივთები მიუთითებენ იმაზე, რომ აქ მებრძოლი სულისკვეთების ხალხი ცხოვრობდა,

სადაც ნიუთების უმრავლესობა ქალებს ეკუთვნოდა. კერძოდ, მაორახები ხელტარით, რომელსაც იარაღის დანიშნულებაც ექონდა, ასევე ცხენის მოკაზმულობა (სხვადასხვა ზომის პატარა-პატარა ზარებით). მაპაკაცი — ამბობს იგი — ასეთ მორთულობას ცხენს არ გაუკეთებდა-ო.

ამასთან, ბაიერნი აღნიშნავს, რომ სტეფან-წმინდის პირდაპირ განლაგებულია სოფელი გერგეთი, ხოლო ამ სოფლის თავზე არის წმინდა გარგარას ტაძარი, როგორც მას გერგეთელი ქართველები უძახიან. ამ სოფელმა სახელწოდება მიიღო სწორედ ამ წმინდანისგან, ამიტომ ნამდვილი სახელი სოფლისა იყო არა გერგეთი, არამედ გარგოი, როგორადაც იხსენიებს სტრაბონი. სტრაბონი კი აღნიშნავს, რომ ამორძალები "შეიარაღებული იყვნენ მშვილდისრით, ორპირა ცულითა და ნახეერადმთვარისებრი ფარით. ბავშვობაში მათ ამოუწყვიდნენ მარჯვენა მკერდს, იმისათვის, რომ თავისუფლად ესროლათ ისარი და რომ ისინი წელიწადში ორ თვეს, გაზაფხულზე, სქესობრივ კავშირში შედიოდნენ გარგარეთთან შთამომავლობის გასამრავლებლად. დაბადებული ბავშვებიდან ქალებს ამორძალები იტოვებდნენ, ხოლო ვაჟები მიპყავდათ აღსაზრდელად გარგარეს. სწორედ ამ გარგათს აიგივებს ბაიერნი სტრაბონის მიერ დასახელებულ გარგართან.

1710-1734 წწ. რუსეთის არმიის სამსახურში იმყოფებოდა არტილერიის კაპიტნის ჩინით გერმანელი *იოპან-გუსტავ გერბერი.* მან მონაწილეობა მიიღო პეტრე I-ის ლაშქრობაში სპარსეთის წინააღმდეგ. 1729 წლამდე იმყოფებოდა დაღესტანში და ასრულებდა ხელისუფლების დავალებებს. მათ შორის მან შეადგინა რუქა და აღწერილობა კასპიის ზღვის სანაპიროსი

ასტრახანიდან მდინარე მტკვრის შესართავამდე. ეს მასალა გამოქვეყნდა 1736 წელს მისი გარდაცვალების (1734) შემდეგ.

ი. გერბერის მიერ მოპოვებული მასალა პირადად მის მიერ იყო შეკრებილი. ეს მასალა შეიცავს ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის ცნობებს კავკასიის ხალხების, ძირითადად, დაღესტნელების შესახებ. მათში გადმოცემულია ცნობები ნოღაელების, ავარების, დარღიელების, ყუბაჩების, ლაკების, ლეკების და მოიელი ებრაელების შესახებ. აქვეა ცნობები ადიღელების, ყაბარდოელების, აზერბაიჯანელების, სომხების და კახეთის ქართველების შესახებ.

კავკასიის კასპიისპირა მხარეების შესახებ ეთნოლოგიური ცნობები მოიპოვება *იოპან ლეერხის* (1703-1780) ნაწერებში. რომელიც 1732-1735 წწ. როგორც სამხედრო ექიმი მსახურობდა ასტრახანის კორპუსში. იგი ცნობებს კრეფდა, როგორც თვითონ, ასევე დამხმარე პირთა მეშვეობით. ეს ცნობები ძირითადად, განეკუთვნება დაღესტნის ხალხთა ყოფის აღწერას.

ზოგიერთი ეთნოლოგიური ცნობა მოეპოვება *არტემ ვოლინსკის*, რომელიც 1715 წელს სპარსეთში გაიგზავნა საგაჭრო ხელშეკრულების დასადებად. სპარსეთში იგი 1718 წლამდე იმყოფებოდა. ცნობილია, რომ იგი აქ შეხვდა ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს და საფუძველი ჩაუყარა პეტრე I-თან მის დაახლოებას, სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობას. ა. ვოლინსკის ეკუთვნის სპარსეთის აღწერილობა, რომელშიც მოიპოვება ცნობები აზერბაიჯანის შესახებ.

საქართველოს შესახებ ზოგიერთი ეთნოლოგიური მასალა წარმოდგენილია სემიონოვსკის პოლკის ლეიბ-გვარდიის კაპიტნის *ნიკოლოზ იაზიკოვის* ჩანაწერებში. 1770 წ. იგი გამოგზავნეს

საქართველოში ერეკლე II-სა და რუსეთის არმიის დამხმარე კორპუსის სარდლის გენერალ-მაიორ გრაფ გ. ტოტლებენს შორის წარმოშობილი კონფლიქტის გამოსაძიებლად. იმავე წელს მან შეადგინა თავისი "Записка о Грузии", რომელიც წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნარკვევს ქართლის, კახეთის და იმერეთის შესახებ. მასში მოიპოვება ცალკეული ცნობები მეურნეობის, ვაჭრობის, მეფისა და თავადაზნაურთა კარის, მოსახლეობის დაბალი ფენის შესახებ. აგრეთვე ცნობები ტანსაცმლის, ქორწინების, დაკრძალვის შესახებ და სხვა. ნ. იაზიკოვი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ქართველებისა და დაღესტნელების ურთიერთობას. მასვე ეკუთვნის იმავე 1770 წ. შედგენილი "Записка о Мингрелии", რომელშიც მოკლე ცნობებია გადმოცემული ამ კუთხის შესახებაც.

ამიერკავკასიის ეთნოლოგიური შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს პოლკოვნიკ *სტეფანე ბურნაშევის* (1743-1824) ნაწერებს. 1783-1787 წწ. იგი მსახურობდა ერეკლე II-სა და სოლომონ იმერეთის მეფის კარზე, როგორც სამხრეთ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი. მის კალამს ეკუთვნის ორი ნაშრომი "Картина Грузии" და "Описание областей Азербайджанских". მართალია, პირველ მათგანში, ძირითადად, ქვეყნის პოლიტიკური ვითარების აღწერილობაა წარმოდგენილი, მაგრამ, მეორეში, გარდა პოლიტიკური ამბებისა, გადმოცემულია ცნობები მოსახლეობის შესახებაც. ამავე დროს, ს. ბურნაშევის ეს ნაშრომები, პირველი რუსული ბეჭდური გამოცემებია, რომლებიც სპეციალურადაა მიძღვნილი კავკასიისადმი. გარდა ამ ორი წიგნაკისა, ს. ბურნაშევს შეუდგენია რამდენიმე რუქაც და მათ შორის „გენერალური რუქა" საქართველ-

ლოს სამეფოების — კახეთის, ქართლის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს სამთავროებისა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში კავკასია, რუსეთის იმპერიის სამხედრო ინტერესების გარდა, მოექცა სამეცნიერო ინტერესების სფეროშიც. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ XVIII ს-ის ბოლო მესამედის მანძილზე სამი დიდი ექსპედიცია გაამართა კავკასიაში, რომელთა მიზანი იყო მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების აღწერა და გამოვლენა. ამავე დროს, ამ ექსპედიციების შედეგად შეკრებილ იქნა ეთნოლოგიური ცნობებიც.

პირველი ექსპედიციები 1768-1774წ.წ. მოაწყო აკადემიკოსმა, სპეციალობით ბოტანიკოსმა *სამუელ გოტლიბ გმელინმა* (1744-1774). მისი მიზანი იყო კასპიისპირა მხარეების აღწერა, რომელშიც ასევე სპარსეთის სანაპიროების აღწერაცაა წარმოდგენილი. 1774 წელს დაღესტანზე გავლით სპარსეთისაკენ ექსპედიციის მოწყობის დროს, 30 წლის გმელინი ტყვედ ჩაუვარდათ მთიულებს. იგი სოფელ ახმატკენტში ტყვეობაში გარდაიცვალა. მისი მოგზაურობის ვრცელი აღწერილობა დააშუშაკა და გამოსცა აკადემიკოსმა პ. პალასმა. მასში წარმოდგენილია ეთნოლოგიური მასალები, როგორც კავკასიის, ისე სპარსეთის შესახებ. კავკასიის მხარეებიდან მას ასეთი ცნობები მოეპოვება დაღესტნისა და აზერბაიჯანის შესახებ. აქვეა აღწერილობანი (თუმცა, ეთნოლოგიურად ღარიბი) ქალაქების — მოზდოკის, ყიზლარის, დარუბანდის, ბაქოს, შემახის და სხვა.

ვრცელი და მასშტაბური ექსპედიცია მოეწყო 1768-1775 წწ. სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში აკადემიკოს *ანტონ იოჰან გიულდენშტედტის* ხელმძღვანელობით. წარმოშობით გერმანელი, სპეციალობით იყო ექიმი და ბუნებისმეტყველი. კავკა-

სიაში მან დაპყო 1770-1773 წლებში ყირიმლარის მიდამოებში, ყაბარდოში, ოსეთში, აღმოსავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და იმერეთში. მისი მოგზაურობის საერთო აღწერილობა გამოიცა ორ ტომად. მისი გარდაცვალების შემდეგ, აკადემიკოს პ. პალასის მიერ. არსებობს საქართველოს შესახებ ცნობების ცალკე გამოცემაც ქართულ ენაზე (გამოსცა *გ. გელაშვილმა*, ტ. I, 1962, ტ.II, 1964).

ა. გუილდენშტედტის ეთნოლოგიური ცნობები ძირითადად ზოგადი, რამდენადმე ზედაპირული ხასიათისაა. ეს ცნობები შეეხება ქისტებს, ინგუშებს, ნოღაელებს, ოსებს, ყუმიხებს და დაღესტნის ხალხებს. აგრეთვე, ადიღელებს, ყაბარდოელებს, ბალყარელებს და ყარაჩაელებს. შედარებით ვრცლად არის წარმოდგენილი ცნობები ქართველების შესახებ, სადაც ეჩვენებით სოფლების, საცხოვრებლების, ქორწინებისა და დაკრძალვის აღწერებს. ა. გიულდენშტედტის ცნობები, შემდგომაც, დიდხანს წარმოადგენდა ძირითად წყაროს სხვა აუტორებისთვის კავკასიის და კერძოდ, საქართველოს ეთნოლოგიის შესახებ.

ეთნოლოგიური ხასიათის ცნობები მოეპოვება, აგრეთვე, მეორე აკადემიური ექსპედიციის (1768-1774) თვალსაჩინო მონაწილეს აკადემიკოს *პეტრე პალასს* (1741-1811), რომელმაც 1791-1794წწ. თვითონ მოაწყო ახალი მოგზაურობა ასტრახანის მხარეში, ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში. მის წიგნში მოიპოვება ცნობები ადიღელების, ყაბარდოელების, აბაზების, ნოღაელების, ოსების, ინგუშების, ჩეჩნებისა და სვანების შესახებ. ეს ცნობები, ძირითადად, მას უკვე არსებული ლიტერატურიდან ამოუკრებია, თუმცა, ზოგიერთი ცნობა ადგილობრივაც მოუპოვებია ინფორმატორების (მაგ. პოდპოლკოვნიკ შტედერის) მეშვეობით.

ერეკლე II-ის კარ'ზე საქმიანობდა ცნობილი გერმანელი ექიმი *იაკობ რეინეგსი* (1744-1791), რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგ'ზაურობიდან დაბრუნებული, 1779 წლიდან დამკვიდრდა თბილისში. 1782 წ. იგი ჩადგა რუსეთის საბსახურში და იმყოფებოდა რუსეთის წარმომადგენლის თანამდებობა'ზე ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარ'ზე. 1783 წ. იგი კავკასიიდან გაემგ'ზავრა და მსახურობდა რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. მისი მთავარი ნაშრომი გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ ორ ტომად (1796 და 1797წწ). იგი, უმთავრესად, კავკასიის მხარეთა გეოგრაფიულ აღწერილობას შეიცავს, მაგრამ მასში არის მოკლე ეთნოლოგიური ხასიათის ცნობებიც. კერძოდ, აფხა'ზების, ქისტების, ინგუშების, ჩეჩნების, ლეკების, ოსების, ადიღეელების და ყაბარდოელების შესახებ.

XIX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო კიდევ ერთი ექსპედიცია კავკასიის მხარეთა შესასწავლად. ამ ექსპედიციის (1807-1808წწ.) ხელმძღვანელი იყო გერმანელი ენათმეცნიერი, ორიენტალისტი, *პენრიხ-იულიუს კლაპროტი* (1783-1835). აკადემიის დავალებით მან იმოგზაურა ჩრდილო კავკასიასა და საქართველოში. ამ მოგ'ზაურობის დროს მას ახლდა მდივანი და თარჯიმანი, სტუდენტი ფეოდორ ბობრინსკეი. მისი მოგ'ზაურობის ძირითადი მიზანი ლინგვისტური ხასიათისა იყო, მაგრამ აღწერილობაში მოეპოვება ეთნოლოგიური ხასიათის ცნობებიც. მისი მოგ'ზაურობის ანგარიშები გამოიცა სა'ხლვარგარეთ — ჰალეში, პარი'ზსა და ვაიმარში, რადგან 1811 წელს იგი გაირიცხა აკადემიის შემადგენლობიდან და მას მოუხდა რუსეთის დატოვება. ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ კლაპროტის ნაშრომებში,

ძირითადად, კომპილაციური ხასიათისაა. ისინი შეეხება აბაზებს, ყაბარდოელებს, ყარაჩაელებს, ბალყარელებს, ინგუშებს, ოსებს და საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, მათ მაინც პქონდათ მეცნიერული ღირებულება კავკასიის მოსახლეობის ენებისა და დიალექტების შესწავლისათვის.

1835-1837წწ. კავკასიაში მუშაობდა *ანდრია შეგრენი* (1794-1855), წარმოშობით ფინელი, ლინგვისტი, 1831 წლიდან რუსეთის სამსახურში მეოფი. იგი, ძირითადად, სწავლობდა ოსურს და ქართულ ენებს და ნაწილობრივ, ამ ხალხების ეთნოლოგიას. ა. შეგრენი არის ოსური ანბანის შემქმნელი. მანვე შეადგინა ოსური ენის გრამატიკა. 1844 წლიდან ა. შეგრენი იყო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი.

1802 წელს გამოქვეყნდა *ექვთიმე ბოლხოვიტინოვის* (1767-1837), შემდეგში კიევის მიტროპოლიტის ევგენის, წიგნი "**Историческое изображение грузин...**" (1804 წელს ეს წიგნი გამოიცა რიგაში გერმანულ ენაზეც). წიგნი, მართალია, ძირითადად, ეძღვნება საქართველოს ისტორიის, საეკლესიო ცხოვრების და ლიტერატურის საკითხებს, მაგრამ მას დართული აქვს "**Записка**", რომელშიც გადმოცემულია ეთნოლოგიური ხასიათის ცნობები ალუმირების, ჩეჩნების, ლეკების, ყაბარდოელების, ქისტების, ადიღეელების შესახებ.

1823წ. მოსკოვში ორ წიგნად გამოქვეყნდა *სემიონ ბრონევსკის* (1763-1830) ნაშრომი "**Новейшие географические и исторические известия о Кавказе**". ს. ბრონევსკი 1796 წლიდან, სპარსეთში ლაშქრობის დროიდან, ხანგრძლივად ცხოვრობდა კავკასიაში (თავდაპირველად პ. ციციანოვისა და კ. გუდოვიჩის კანცელარიაში, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში

ქ. ფეოდოსიის „გრადონაჩალნიკად“). თავისი ძირითადი ნაშ-
რომი მას შეუქმნია 1810 წელს. ეს ნაშრომი მრავალმხრივ
ღირებულებისაა სწორედ ეთნოლოგიური თვალსაზრისით. მასში
მეცნიერების ისტორიაში პირველად არის ყურადღება გამახ-
ვილებული კავკასიის ხალხთა საზოგადოებრივ წყობაზე. ს.
ბრონევსკი აქ გამოყოფს მმართველობის სამ ფორმას — „მონარ-
ქიულს, არისტოკრატიულს და დემოკრატიულს“. ამასთანავე,
ხშირად გვხვდება ამ ფორმების შერეული სახეობაც, გან-
საკუთრებით პირველი ორისო — აღნიშნავს ს. ბრონევსკი. ეს
დაყოფა უმთავრესად დამყარებულია იმაზე, რომ ს. ბრონევსკი
აქ ხედავს საზოგადოებრივი წყობილების ორ ფორმას:
ფეოდალურს და დემოკრატიულს. ამასთანავე, მმართველობის
დემოკრატიულ ფორმას, უპირატესად, იგი ხედავს კავკასიის
შედარებით ჩამორჩენილ, ნაკლებად განვითარებულ ხალხებში,
რომელთაც იგი პყოფს „თავისუფალ საზოგადოებებად“, „რეს-
პუბლიკებად“ და „ფედერაციულ რესპუბლიკებად“.

ეს არის მეცნიერების ისტორიაში პირველი ცდა კავკასიის
მთიელ ხალხთა საზოგადოებრივი წყობის დახასიათებისა და ამ
წყობის სხვადასხვა ფორმების დადგენისა. საზოგადოებრივი
წყობილების ორი ძირითადი ფორმის — ფეოდალურისა და
დემოკრატიულის გამოყოფისას, ს. ბრონევსკი ხშირად აღნიშ-
ნავს, აგრეთვე, მათი შერეული ფორმის არსებობასაც, რაც ჩვენი
ტერმინოლოგიით პირველყოფილ — დემოკრატიული, ანუ პირვე-
ლყოფილ — თემური წყობის შესაბამისია.

XIX ს-ის დასაწყისში ეთნოლოგიური ხასიათის რამდენიმე
ჩანაწერი დაგვიტოვეს რუსეთის მმართველობის სამსახურში
მყოფმა ქართველმა მოხელეებმა. მათგან აღსანიშნავია *ეგორ*

ნილაევის (იგორ ქილაძე, ქილაშვილის) "**О горских народах по Военно-грузинской дороге**", შედგენილი 1827 წელს (გამოქვეყნდა 1878 წელს **АКАК**-ის – **Акты собранные кавказской археографической комиссиею** – VII ტომში, გვ.347-352). ნაშრომში აღწერილია ოსების და იმ ქართველი მთიელების ყოფა, რომლებიც სამხედრო გზის გასწვრივ მოსახლეობდნენ. კერძოდ, წარმოდგენილია ცნობები მაიზე დაკისრებული მოვალეობებისა და ბეგარის შესახებ. აგრეთვე, აქ გაურცელებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფორმების შესახებ.

მეორე ასეთი ავტორია *ნიკოლოზ ბალავანდოვი* (ფალავანდიშვილი), რომელსაც 1831 წელს შეუდგენია "**Краткое обозрение некоторых закубанских племен**" (გამოქვეყნდა 1877 წელს, **АКАК**-ის VII ტომში). ამ ნაშრომში მოცემულია მოკლე, ზოგადი ცნობები ადიღელი ტომების: აბაძეხების, ტემირგოელების, გატულების, ჟანეს და ხერხენების ლოკალიზაციის, საზოგადოებრივი ურთიერთობების და რიცხობრივობის შესახებ.

1829 წელს პ. ბასკევიჩმა თავისი საშმართველოს ერთ-ერთ მოხელეს *ივანე შოპენს* (1798-1879) დაავალა შეედგინა სომხეთის ოლქის დაწვრილებითი აღწერილობა, რომელიც მის მიერ იმ ხანებში რუსეთის იმპერიისათვის იქნა შემოერთებული. ი. შოპენმა, ფრანგმა წარმოშობით, რომელიც 1825 წლიდან რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა, მართლაც შეადგინა ამ მხარის ვრცელი და დაწვრილებითი აღწერილობა, რომელიც 1825 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით "**Исторический памятник состояния Армянской Области в эпоху ее присоединения к Российской Империи**". ეს არის კაპიტალური ნაშრომი, რომელშიც წარ-

მოდგენილია სომხეთის დეტალური აღწერილობა. ამ ნაშრომს მნიშვნელობა ამჟამადაც არ დაუკარგავს. იგი თავის დროზეც სათანადოდ იქნა შეფასებული (კერძოდ, შ. ბროსეს და კეპპენის მიერ) და დაჯილდოვდა დემიდოვის პრემიით. ი. შოპენს ეკუთვნის ავრეთვე, რამდენიმე საყურნალო წერილიც, რომელთა შორის აღსანიშნავია ჟურნალ "Маяк"-ში 1840(№3) წელს გამოქვეყნებული "О музыке и пляске жителей Армянской Области". ამ წერილში წარმოდგენილია სომხების, აზერბაიჯანელების და ქურთების ცეკვების მოკლე დახასიათება.

1823-1829წწ. კავკასიაში, რუსეთის არმიაში სამსახურის დროს ოფიცერ-არტილერისტს *ილია რადოფიცკის* (1788-1861) შეუკრებია მასალები ნარკვევისთვის "Законы и обычаи Кабардинцев", რომელიც 1846 წელს გამოქვეყნდა "Литературная газета"-ს ორ ნომერში. ეს წერილი სერიოზულ ეთნოლოგიურ ნარკვევად ითვლება ყაბარდოელთა ადათობრივი სამართლის შესწავლის ისტორიაში. იგი ავტორია, ავრეთვე, რამდენიმე საგაზეთო წერილისა, რომლებშიც გადმოცემულია ეთნოლოგიური ხასიათის სხვადასხვა ცნობები ავარების, ყუბანისპირა მოსახლეობისა და სხვა კავკასიელ ხალხთა შესახებ.

1830 წელს "Тифлисские ведомости"-ს ფურცლებზე იბეჭდებოდა თბილისის გუბერნიის სამმართველოს მოხელის *გრიგორი ბორდეევის* (1791-1839) წერილები, რომლებიც წარმოადგენს სერიოზულ გამოკვლევებს ოსების ეთნოლოგიის შესახებ. კერძოდ, ამ საკითხებზე მის კალამს ეკუთვნის ორი წერილი: 1) "Вероисповедание, суеверия, обряды, правление, обычаи и нравы Осетин" და 2) "Письма из Осетии". ამ წერილებში წარმოდგენილია ოსების ყოფის სხვადასხვა ეთნოლოგიური

აღწერილობანი. კერძოდ, მაოში აღწერილია ოსების: გარეგნობა, ქალების სილამაზე, აღზრდა, საცხოვრებელი მოწყობილობა, ჭურჭელი; წერილებში მოიპოვება ვრცელი ჩანაწერები ჩვეულებითი სამართლის შესახებ, სადაც გადმოცემულია ცნობები: მკვლელობაზე, შურისძიებაზე, შერიგებაზე, გაშოსასყიდზე, ქურდობაზე, ცილისწამებაზე და სხვა. ასევე მოიპოვება მასალები: სამიწათმოქმედო წესებზე, არასამუშაო დღეებზე, მემკვიდრეობაზე, კლასობრივ და წოდებრივ დაყოფაზე, ფეოდალურ ხელისუფლებაზე, სამართალსა და მის ბოროტად გამოყენებაზე, გადასახადებსა და ბეგარაზე. აქვე წარმოდგენილია ოსების მეურნეობის დახასიათება.

ცხადია, ასეთი სპეციალური ეთნოლოგიური გამოკვლევები სრულ უფლებას იძლევა გრიგორ გორდეევი ჩაითვალოს ოსეთის მკვლევარ ერთ-ერთ პირველ ეთნოლოგად, მითუმეტეს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი ჩანაწერები ადათის შესახებ, რომლითაც იგი წარმოგვიდგება, როგორც ოსური ადათის პირველი შემკრები და შემსწავლელი. იგი დაიღუპა 1838 წელს ავარეთიდან კახეთში გადასასვლელი გზების ფარულად დაზვერვის დროს.

1836 წელს 4 ტომად გამოქვეყნდა ვრცელი, კოლექტიური ნაშრომი "**Обозрение Российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях**". ამ ნაშრომის შექმნა დაკავშირებული ჩანს მაშინდელი ფინანსთა მინისტრის კანკრინის სპეციალურ წერილთან ნიკოლოზ I-ის სახელზე, რომელიც მიზნად ისახავდა ახლადშემოერთებული მხარეების ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგებას. სამუშაოს განხორციელებაში აქტი-

ური შინაწილეობა მიიღო პ. პასკევიჩმა — პეტერბურგიდან გამოგზავნილ მოხელეებთან ერთად ამ საშუშაოში მან ჩააბა ადგილობრივი თანამშრომლებიც და ერთობლივი შუშაობის შედეგად შეიქმნა კაპიტალური გამოკვლევა რუსეთის იმპერიისადმი ახალშემოერთებული მხარეების შესახებ. შვიდი წლის შუშაობის შემდეგ, 1835 წლის დასაწყისში შრომა დასრულდა და მის გამოსაცემად მინისტრთა კაბინეტის სპეციალური დადგენილება გახდა საჭირო, რომელიც მეფემ დაამტკიცა. მოელი ნაშრომის რედაქტირება დაევალა *ვასილი ლეგკობიტო

ბაიბაკ-შულავერის დისტანციის და ელიზავეტპოლის მაზრის აღწერა და *ალექსანდრე იანოვსკის* — ოსეთისა და შაქის პროვინციების აღწერა.

ამ ნაშრომის შინაარსს, ზოგად გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ, სტატისტიკურ და სხვა მონაცემებთან ერთად, ყოველთვის შეადგენს, მართალია, მოკლე, მაგრამ ძვირფასი და ღირებული ეთნოლოგიური ცნობები რაიონებისა და ცალკეული ხალხების შესახებაც. ზოგიერთი მათგანი, მაგ. ეთნოლოგიური ცნობები ოსებზე, რომლის ავტორია ალ. იანოვსკი, ძალზე დაწვრილებითია და ყოველისმომცველი. ეთნოლოგიური თვალსაზრისით ეს ნაშრომი დღესაც ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს. მას მაღალ შეფასებას აძლევდნენ თანამედროვენი და მის შესახებ გამოქვეყნდა მთელი რიგი წერილებისა იმდროინდელ პერიოდულ პრესაში.

1846 წლიდან 1917 წლის ჩათვლით თბილისში გამოდიოდა გაზეთი "Кавказ"-ი, რომლის ფურცლებზეც, სხვა მასალებთან ერთად, დაიბეჭდა უამრავი ეთნოლოგიური ხასიათის წერილი კავკასიის ხალხთა შესახებ. ამ წერილების ავტორები იყვნენ, რუსეთის მმართველობის, როგორც რუსეთიდან ჩამოსული, ხშირად აქ ჩასახლებული მოხელეები, ისე ადგილობრივი წარმოშობის პირები — მეცნიერები, მოგზაურები, მხარეთმცოდნეები.

გაზეთის მეცლობელი და პირველი რედაქტორი იყო *ოსიპ კონსტანტინოვი* (1813-1856), კადეტთა კორპუსის კურსდამთავრებული (1832 წლის გამოშვება), რომელიც თვითონაც ხშირად აქვეყნებდა გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა სახის ეთნოლოგიურ წერილებს. მათ შორისაა მისი ვრცელი წერილი ჩერქეზების

შესახებ დაბეჭდილი გაზეთის 1847 წლის მეორე ნომერში. მასვე ეკუთვნის "**Дорожник**"-ი, ანუ ამიერკავკასიის მხარის მეგზური, გამოცემული 1850 წელს, რომელშიც რამდენიმე სტრიქონით ზოგადი ხასიათის ცნობებია გადმოცემული ოსეთის, იმერეთის და ა'ზერბაიჯანის შესახებ.

1845 წლიდან 1917 წლის ჩათვლით თბილისში ყოველწლიურად გამოდიოდა "**Кавказский календарь**"-ი, რომლის ნომრებშიც დაიბეჭდა მრავალი წერილი კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის შესახებ. ამ წერილებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, როგორც საისტორიო წყაროს კავკასიის ეთნოლოგიის შესწავლისთვის.

XIX საუკუნის შუა ხანებში მოღვაწეობას იწყებს ორი გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგი *ალექსანდრ ოსელიანი* და *რაფიელ ერისთავი*. ალ. ოსელიანი (1810-1875) ცნობილი ისტორიკოსია, რომელიც შეფისნაცვლის კანცელარიის თანამშრომელიც იყო და თბილისის სასულიერო სემინარიაშიც ასწავლიდა. გარდა ამისა 1844-1855 წლებში რედაქტორობდა გაზეთ "**Кавказский вестник**"-ს. იგი შრომებს აქვეყნებდა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. მისი ნაწერებიდან ეთნოლოგიური თვალსა'ზრისით აღსანიშნავია ნაშრომები კახეთის, თუშეთის, ფშავის, დაღესტნის შესახებ.

XIX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო გაზეთ "**Кавказ**"-ის ფურცლებზე გამოქვეყნება გასული საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო ქართველი ეთნოლოგის *რაფიელ ერისთავის* (1824-1901) წერილებმა. მისი პირველი წერილები შეეხებოდა ქართველების რწმენა-წარმოდგენებს, ლაზარობას, კახეთში წვიმის გამოწვევის, ქართველებში ქორწინების წესების, გაზაფხულის ციკლთან

დაკავშირებული ჩვეულებების შესახებ. 1854 წელს გამოქვეყნდა მისი ვრცელი ნაშრომი თუშ-ფშავ-ხევსურთა შესახებ, რომელშიც შეტად ძვირფასი ეთნოლოგიური ცნობებია თავმოყრილი. 1857 წელს იმავე გაზეთის ფურცლებზე (12 ნომერში) დაიბეჭდა მისი „წერილები იმერეთიდან", რომელიც შეიცავს ეთნოლოგიური ხასიათის ცნობებსაც.

რ. ერისთავი 1857 წლიდან მუშაობდა ქუთაისში, განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ ქუთაისის ძაშინდელ გენერალ-გუბერნატორ ნ. კოლუბიაკინთან, ხოლო 70-იანი წლებიდან იყო ზუგდიდის მაზრის უფროსი, ქუთაისის მოძრიგებელი მოსამართლე. 1870 წელს გავიდა სამსახურიდან და მთელ დროს ლიტერატურულ და სამეცნიერო საქმიანობას უთმობდა. ჯერ კიდევ 50-იან წლებში მან აქტიური მონაწილეობა მიიღო კავკასიის მუზეუმის ჩამოყალიბებაში.

რ. ერისთავის ამ დროის ეთნოლოგიური ნაწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წერილები სამეგრელოს გლეხობის შესახებ (1873), სამეგრელოში პრივილეგირებულ წოდებათა შესახებ (1873), ნარკვევი იმერეთის სასოფლო-სამეურნეო ყოფაზე (1875), ეთნოლოგიური წერილები სვანეთზე (1896), შენიშვნები სვანებზე (1897) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 40-იან წლებში თავისი კუთხის ეთნოლოგიურ შესწავლაში მონაწილეობა მიიღო ორმა ქართველმა მოიელმა, თუშებმა *ჯ. ციხკარიშვილ*ი და *ი. ციხკარიშვილ*ი (ციხკარიშვილებმა). პირველს, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, 22 წლისა, 1847 წელს ზაქათალაში მოუკლავთ ლეკებს, დარჩა გაზეთ "Кавказский вестник"-ში გამოქვეყნებული ორი წერილი: „მომთაბარე თუშეთი" და „თუში მხედარი განი-

ში". ხოლო მეორეს — ი. ცისკარიშვილმა გაზეთ "Кавказ"-ის ფურცლებზე გამოაქვეყნა სამი წერილი: „დიკლო და შენაქო", „ნანაწერები თუშეთზე" და „თუშური სიძღერები".

1848 წელს გაზეთ "Кавказ"-ის ფურცლებზე (5 ნომერში) დაიბეჭდა გამოჩენილი სომეხი მწერლის, ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებლის *ხარატურ აბოვიანის* (1804-1848) ვრცელი წერილი „ქურთები". ეს წერილი წარმოადგენს ყოველმხრივ და ღრმაშინაარსიან გამოკვლევას სომხეთის ქურთების შესახებ. იგი დამყარებულია ავტორის პირად ნაცნობობაზე ამ ხალხის ყოფასა და ცხოვრებასთან. ამ წერილით ხ. აბოვიანი გვევლინება, როგორც პირველი სომეხი ეთნოლოგი. ეთნოლოგიური ცნობებით არის დატვირთული, აგრეთვე, მისი ცნობილი რომანი „სომხეთის ჭრილობები".

XIX საუკუნის შუა ხანებში ადიღეელთა და ყაბარდოელთა ეთნოლოგიის შესახებ შეიქმნა რამდენიმე ნაშრომი, რომელიც ამ ხალხების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. ესენია *ხან-გირეი* და *შორა ნოგმოკი.*

სულთან ხან-გირეი, წარმოშობით ადიღე, იზრდებოდა პეტერბურგში, სადაც დაამთავრა კადეტთა კორპუსი. მსახურობდა კავკასიის მთიელთა ლეიბ-გვარდიულ ნახევარესკადრონში, როგორც მისი ოფიცერი, ხოლო შემდეგ იყო მისი უფროსი. დაახლოებული იყო ნიკოლოზ I-თან, 1837 წელს მიიღო ფლიგელ-ადიუტანტის წოდება. ტრიალებდა პეტერბურგის უმაღლეს არისტოკრატიულ საზოგადოებაში, გარდაიცვალა 1846 წელს ეკატერინოდარში (გადმოცემით, თითქოს მიურიდებმა მოწამლეს).

40-იანი წლების თბილისისა და პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ხან-გირეის წერილები ადიღე-

ლთა ყოფისა და ისტორიის შესახებ. მისი ეთნოლოგიური ხასიათის წერილებიდან აღსანიშნაია: „ჩერქეზების რწმენა, წესები, ჩვეულები და ცხოვრების სურათები“, „ჩერქეზთა გადმოცემები“, „ჩერქეზ ტომთა მითოლოგია“ და სხვა. ხან-გირეი არის პირველი გამოჩენილი ადიღე ისტორიკოსი და ეთნოლოგი, რომელსაც შნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის ეთნოლოგიური შესწავლის ისტორიაში.

40-იან წლებში შექმნა თავისი დროისათვის მეტად თვალსაჩინო ნაშრომი ყაბარდოელმა *შორა ნოგმოვმა* (1796-1844), რომლის სახელწოდებაა "**История адыгейского народа**". შორა ნოგმოვი 1818 წლიდან სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა: ჯერ კავკასიის ხაზზე, შემდეგ პოლონეთში, 1835 წელს თბილისში; ხოლო 1838-1873 წწ. ყაბარდოს დროებითი სასაჭართლოს მდივანი იყო. 1873 წ. თავისი ნაშრომი შ. ნოგმოვს წაუღია პეტერბურგში გამოსაქვეყნებლად, მაგრამ მალე გარდაცვლილა. შრომის ცალკეული ნაწილები გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ გაზეთების "**Закавказский вестник**"-ის და "**Кавказ**"-ის ფურცლებზე. სრული სახით იგი გამოაქვეყნა ა. ბერჟემ 1862 წელს, მანვე განახორციელა მისი გერმანული გამოცემა ლეიპციგში 1866 წელს.

შ. ნოგმოვის ნაშრომი მოიცავს ადიღელი ტომების, მათ შორის ყაბარდოელების ისტორიას და ეთნოლოგიას. ნაშრომის შინაარს შეადგენს ადიღელთა სხვადასხვა სატომო სახელების განმარტება, მათი ეთნოგენეზის განხილვა, ქრისტიანობის კვალის ძიება, ისლამის გავრცელების შესწავლა, ადიღელთა ძველი ყოფის აღწერა, მათი ისტორია, მათ შორის სამხედრო ისტორია VI-XVIII საუკუნეებში, განსაკუთრებული ყურადღება

აქვს დათმობილი ადიღეელთა ურთიერთობას რუსეთთან. მთელი ეს კვლევა დამყარებულია მრავალფეროვან, ფართოდ მოხმობილ მასალაზე; კერძოდ, გადმოცემებზე, ფოლკლორზე, არქეოლოგიურ ძეგლებზე და სხვა. ცხადია, ამ ნაშრომის ავტორს დიდი დამსახურება მიუძღვის ადიღეელთა ეთნოლოგიის შესწავლის საქმეში და მას საპატიო ადგილი უქირავს მთელი კავკასიის ეთნოლოგიური შესწავლის ისტორიაში.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან საბოლოოდ ასპარეზზე გამოდის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი *დიმიტრი ბაქრაძე* (1827-1890). მისი სამეცნიერო წერილები იბეჭდებოდა იმ დროს, როგორც ადგილობრივ, ისე პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში, ქართულ და რუსულ ენებზე და ბაქრაძემ თავისი შრომებით ღრმა კვალი დაანინა ქართველოლოგიის თითქმის ყველა დარგს. დიდია მისი დამსახურება კავკასიის ეთნოლოგიური შესწავლის საქმეშიც. კერძოდ, მისი ეთნოლოგიური ნაწერებიდან აღსანიშნავია შემდეგი წერილები და წიგნები: **"Сцены из грузинской жизни", "Духан и пурие", "Грузия и грузины", "Осетины-георгианцы", "Сванетия", "Археологическое путешествие по Гурии и Аджаре", "Закатальский округ"** და სხვა.

ამ ნაშრომებში შესწავლილია ქართველების, ოსების, აჭარელთა, ინგილოთა, სვანების და კავკასიის სხვა ხალხების ყოფის საკითხები. მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და წარმოადგენენ ძვირფას საისტორიო წყაროს XIX საუკუნის კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის შესასწავლად.

იმავე ხანებში მოღვაწეობდა *ნიკოლოზ ბერზენოვი* (ბერძენიშ-

ვილი, 1820-1874). რომელიც ერთხანს გაზეთ "**Кавказ**"-ის რედაქტორის თანაშემწე და ფაქტიურად კი მისი რედაქტორი იყო. წარმოშობით ქართველი ბერძენოვანი, ოსეთში, არდონში, დაიბადა 50-იან წლებში. მან გამოაქვეყნა წერილების სერია, რომლებშიც შესწავლილია და აღწერილი ყეენობა, კუდიანობა, მკითხაობა ქართველებში, ასევე ჯამბაზობა და სხვა. მანვე გამოსცა დ. ბაქრაძესთან ერთად წიგნი "**Тифлис в историческом и этнографическом отношениях**" (1870), რომელშიც მას უკუთვნის ეთნოლოგიური ნაწილის ავტორობა.

XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის საქმეში ვარკვეული წვლილი მიუძღვის *ადოლფ ბერჟეს* (1828-1886). წარმოშობით ფრანგს, რომელიც რუსეთის იმპერიის სამსახურში იმყოფებოდა. 1864 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა კავკასიის არქეოლოგიურ კომისიას, რომლის ერთერთი დამაარსებელი ივანოვნვე იყო. 50-60-იან წლებში მან განახორციელა მთელი რიგი მოგზაურობებისა სპარსეთში, დაღესტანში, საქართველოში და თავისი მოგზაურობის ეთნოლოგიურ შთაბეჭდილებებს აქვეყნებდა იმდროინდელი პრესის, ძირითადად "**Кавказский календарь**"-ის ფურცლებზე. ასეთი ხასიათის წერილები მას მოეპოვება შუსულმან-შიიტების, დაღესტნის ხალხების, ჩეჩნების, ქეგრელების და სხვათა შესახებ. მისივე დამსახურებაა შ. ნოგმოვის ნაშრომის სრულად გამოცემა 1862 და 1886 წწ. რუსულ და გერმანულ ენებზე.

საქართველოს და სვანეთის ეთნოლოგიური ყოფის შესწავლაში XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის გარკვეული წვლილი მიუძღვის *კორნელი ბოროზდინს* (1828-1896), რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების

შემდეგ (1849) მუშაობდა აღმზრდელად სამეგრელოს მთავრის დადიანის კარზე, ხოლო შემდეგში იყო ეკატერინე დადიანის მდივანი. მან 14 წელი დაჰყო კავკასიაში და 1866 წელს გამოსცა მრავალმხრივი მნიშვნელობის მეტად შინაარსიანი ნარკვევი **"Крепостное состояние Мингрелии"**, რომელშიც ისტორიულ, ეკონომიკურ და საშაროლებრივ მასალებთან ერთად, წარმოდგენილია ეთნოლოგიური ცნობებიც. ასევე ეთნოლოგიურ ცნობებს შეიცავს მისი მოგონებების წიგნი **"Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия"**, გამოცემული 1885 წელს პეტერბურგში.

გარდა ლიტერატურული, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებებისა, მთელი რიგი ეთნოლოგიური წერილები გამოაქვეყნა XIX საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ხალხთსანმა *ანტონ ფურცელაძემ* (1839-1913). მათ შორის აღსანიშნავია „ცრურწმენები და ცრუმორწმენობა ქართველებში", რომელიც იბეჭდებოდა გაზეთ **"Кавказ"**-ის ფურცლებზე.

ამავე პერიოდში მოღვაწეობას იწყებენ ოსი ეთნოლოგები, რომლებიც აქვეყნებენ სპეციალურ წერილებს თავისი მშობლიური ხალხის ყოფის შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია *ინალიკო ტხოსოყი* და *ათანასე გასიევი*. პირველს ეკუთვნის სტატიები ოსების რწმენა-წარმოდგენების შესახებ. იგი თანამშრომლობდა ვ. მილერთანაც და აწვდიდა მას ოსურ ტექსტებს. ათანასე გასიევიც ოსების რწმენა-წარმოდგენებს იკვლევდა. მის მრავალრიცხოვან სტატიებს შორის, რომლებიც ამ თემას ეძღვნება, აღსანიშნავია **"Осетины, древнейший их культ и позднейший религиозный индеферентизм"**, **"О духах и духопочитании"**,

"Взгляд корана на немусульман" და სხვა.

ვარკვეული წვლილი შეიტანა ყაბარდოელთა ეთნოლოგიურ შესწავლაში თავადსაჩინო ქართველმა ისტორიკოსმა *სულხან ბარათოვმა* (ბარათაშვილმა. 1821-1866), ავტორმა პეტერბურგში 5 ნაკვეთად გამოცემული ცნობილი ნაშრომისა "**История Грузии**" (1865-1871). მას ეკუთვნის სპეციალური ნაშრომი "**О природе и хозяйстве Кабарды**", რომელშიც შესწავლილია დასახლების, საცხოვრებლის, საქმლის, მიწათმოქმედების, მეურნეობის და ყაჭრობის საკითხები.

კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის, განსაკუთრებით ტანსაცმლის და საოჯახო იარაღის (აღჭურვილობის) შესწავლაში, დიდი წვლილი მიუძღვის *ვუსტა რადუს* (1831-1903) კავკასიის მუზეუმის პირველ დირექტორს (დაარსდა 1865წ.) და მის ერთ-ერთ დამაარსებელს. წარმოშობით ვერმანელი ვ. რადუ. რუსეთის ხაზსახურში შესვლას (1853) შემდეგ ბევრს მოგზაურობდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციებში, იყო პუნქტსექტეული და ეთნოლოგი. მუშაობდა ყირიმში. პეტერბურგში (აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმში). 1863 წლიდან ივი დამკვიდრდა თბილისში და დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის ეთნოლოგიურ შესწავლაში. მისი შრომები ქვეყნდებოდა ძირითადად ვერმანულ და ავრეთვე. რუსულ ენებზე. მას სპეციალური გამოკვლეული აქვს ხევსურეთისა და ხევსურეთის შესახებ. რომელშიც თავმოყრილია ოთხოლენ (ზისურმანი. რ. ერისთავი). ისე. მას ბევრ შეტრეული მასალები.

ამალ მასალას შეიცავს ხევანეთის ეთნოლოგიის შესწავლისათვის. ჯერ ქუთაისსა და შემდეგ ბათუმის გიმნაზიების დირექტორის. *ალექსანდრე ბერძენიშვილის* (1841-1914) წვლილი

"**Путешествие по Сванетии**". კერძოდ, ეს არის მასალა სვანთა საოჯახო ყოფის შესახებ. მანვე გამოაქვეყნა სვანური ფოლკლორის ნიმუშები.

კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება *ევგენი ვეიდენბაუმს* (1845-1918), რომელიც 1877 წლიდან კავკასიაში მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობებზე (სიცოცხლის ბოლოს ის იყო კავკასიის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, მანამდე ხანგრძლივი დროის მანძილზე თავმჯდომარის — ადოლფ ბერჟეს, მოადგილე). ე. ვეიდენბაუმი იყო მრავალმხრივი კავკასიოლოგი. მას ეკუთვნის შრომები კავკასიისმცოდნეობის სხვადასხვა დარგში. მისი ეთნოლოგიური ნაწერებიდან აღსანიშნავია ის შრომები, რომლებიც მიძღვნილია ქვის და ლითონის გამოყენებისადმი კავკასიის ხალხებში და სპეციალური წერილები მიძღვნილი წმინდა ხეების შესახებ კავკასიის ხალხებში. იგი გვაცნობებს ამ მეტად საინტერესო თემის შესწავლის წამომწყებად. მისსავე კრებულში "**Кавказские этюды**", სხვა მასალასთან ერთად, თავმოყრილია ეთნოლოგიური წერილები, ჩანაწერები და დაკვირვებანი კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის შესახებ.

XIX საუკუნეშივე შეიქმნა მთელი რიგი პერიოდული გამოცემებისა, რომლებშიც სხვადასხვა სახის მასალასთან ერთად მრავლად იყო წარმოდგენილი ეთნოლოგიური ხასიათის ცნობები, ცალკეული ხალხებისა და ტომების ეთნოლოგიური აღწერილობები, მათი ყოფისა და კულტურის შესახებ სპეციალური, იმ დროისთვის მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ნარკვევები. ამ სახის გამოცემებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია "**Записки Кавказского отдела Императорского Русского**

географического общества" (*ЗКОИРГО*), რომელიც გამოდიოდა ჯერ კიდევ 1851 წლიდან, და რომლის 30 ტომიც გამოქვეყნდა 1914 წლამდე. ასევე აღსანიშნავია "Сборник кавказских горцев", კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიერ წამოწყებული პერიოდული გამოცემა "Сборник Кавказского отделения Императорского Русского археологического общества" (*СКОИРАО*), და განსაკუთრებით ცნობილი "Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа" (*СМОМПК*).

СМОМПК-ში გამოქვეყნებულია დიდძალი მასალა კავკასიის ხალხთა ყოფის, მათი წარსულის, კულტურის, თანამედროვე ვითარების შესახებ. მასალა შეკრებილია და გამოქვეყნებული სხვადასხვა ავტორების მიერ, რომელთა მოშზადების დონე და ინტერესები სხვადასხვა იყო, მაგრამ მთლიანად აქ წარმოდგენილი ცნობები და მასალები წარმოადგენს ფასდაუდებელ საისტორიო წყაროს კავკასიის ეთნოლოგიური შესწავლისათვის XIX საუკუნეში.

XIX საუკუნის 80-იან წლებში, იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთში საერთოდ ფართოდ გაიშალა ეთნოლოგიური მუშაობა, დაიწყო გამოქვეყნება სპეციალისტ-ეთნოლოგების შრომებისა კავკასიის ხალხთა შესახებაც. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს *ვ. მილერის* 1882-1887 წლებში გამოქვეყნებულ ორტომიან შრომას ოსებზე. ამ დროსვე შეიქმნა *მაქსიმე კოვალევსკის* შრომები, რომლებიც მიძღვნილია კავკასიის ხალხთა ჩვეულებითი სამართლის შესწავლისადმი (М. Ковалевский, "Закон и обычай на Кавказе", т. I, М., 1890).

მ. კოვალევსკის შრომებში, რომლებიც ლუის პენრი მორგა-

ნის იდეების გავლენითაა დაწერილი. წარმოდგენილია აეტ ·რის დამოუკიდებელი ეკოლუციონისტური კონცეფცია, მოცემ: ლია, როგორც მდიდარი ფაქტობრივი მასალა, ისე ძალიან ბ'ი'შ-ენელოვანი ისტორიულ-ეთნოლოგიური განზოგადოებანი.

ყოფილ საბჭოთა კავშირში კავკასიის ეთნოლოგიური შეს-წავლა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა და, შეიძლება ითქვას, მან ოვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა. მართალია, გარკვეული იდეოლოგიური მიზანდასახულებითა და ამოცანებით, მაგრამ მან გაცილებით მეტ სიზუსტესა და სიღრმეს მიაღწია. დაარსდა სპეციალური ჟურნალი "Советская Этнография", რომლის ფურცლებზეც გამოქვეყნდა არაერთი საყურადღებო, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დანიშნულების სტატია კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის შესახებ. (ტრადიციულად, საბჭოთა კავ-შირსა და მთელს მაშინდელ სოციალისტურ სივრცეში, ე.წ. დასავლურ მეცნიერებაში მიღებულ ტერმინს „ეთნოლოგია", სცვლიდა „ეთნოგრაფია"). პრაქტიკული დანიშნულების სტატიე-ბიდან, რომლებიც შედარებით იშვიათი იყო, უნდა ცალკე აღინიშნოს აკადემიკოს *გ. ნიტაიას* წერილი "**Принципы и метод полевой этнографической работы**" (СЭ, №4, 1957), რომელშიც ქართული ეთნოლოგიური სინამდვილის მაგალითზე განზოგადოებულია ავტორის მიერ ეთნოლოგიურ მეცნიერება-ში დამკვიდრებული ახალი ე.წ. კომპლექსურ-ინტენსიური შეს-წავლის მეთოდი და მისი გამოყენება საველე ეთნოლოგიური სამუშაოების დროს.

აღსანიშნავია შრომები მთელი რიგი საბჭოთა ეთნოლოგების *ლ. შტერნბერგის, ა. მილერის, ე. პჩელინას, ნ. იაკოვლევის, ტ. ლავროვის, ზ. ნიკოლსკის, მ. კოსვენის, ე. ზაგაკინის* და სხვათა,

რომლებშიაც, როგორც ცალკეულ სტატიებში, ასევე სპეციალურ თემატურ კრებულებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში დიდი წვლილი შეიტანეს კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის საქმეში.

საბჭოურ პერიოდში ეთნოლოგთა კადრები შეიქმნა და ჩამოყალიბდა მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის კავკასიის რესპუბლიკებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ, როგორც ქართველი ხალხის ეთნოლოგიის შესწავლაში, ისე საერთოდ ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით გამოჩენილ ქართველ ეთნოლოგებს, ქართული ეთნოლოგიური სკოლის დამაარსებელს, გამოჩენილ პრაქტიკოსს და თეორეტიკოსს ეთნოლოგს, ეთნოლოგთა არაერთი თაობის აღმზრდელს, აკად. *გ. ჩიტაიას*, პროფესორებს *ვ. ბარდაველიძეს, ს. ძაკალათიას, ა. რობაქიძეს, რ. ხარაძეს, მ. გეგეშიძეს, ნ. რეხვიაშვილს, გ. ჩანაშვილს* და სხვ.

სომეხ ეთნოლოგ მკვლევართაგან, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით კავკასიის ეთნოლოგიურ შესწავლაში უნდა აღინიშნოს *სტ. ლიანაზანი*. ასევე ინტენსიური ეთნოლოგიური მუშაობა მიმდინარეობს დაღესტანში, ოსეთში და აზერბაიჯანში.

კავკასიის შესახებ საბჭოთა ეთნოლოგიის მიღწევათა შეჯამებაა ორტომიანი კოლექტიური მონოგრაფია "Народы Кавказа" (т. I, М., 1960, т. II, М., 1962), რომელიც გამოიცა სერიით "Народы Мира".

მონოგრაფიის I ტომში გადმოცემულია ეთნოლოგიური აღწერა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა: ყაბარდოელების, ჩერქეზების, ადიღეელების, აბაზინების, ყარაჩაელების, ბალყარების, ოსების, ჩეჩნების, ანუ ვაინახების, ინგუშების, ნოღაელების და

დაღესტნის ხალხების, რომელთაგან ცალკე ნარკვევებია მიძღვნილი ყუმიხების, აკარების, დარღინების, ლაკების, ლეკების, ტაბასარანელების, რუტულების, წახურებისა და მთიელ ებრაელებისადმი.

აქ ჩამოთვლილი ხალხების ეთნოლოგიურ აღწერას უძღვის ისტორიული ნარკვევი, რომელშიც გადმოცემულია მათი ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე საისტორიო წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით. ასევე, ზოგადი შესავალი წერილი უძღვის დაღესტნის ხალხების ეთნოლოგიურ აღწერას, რომელშიც გადმოცემულია მათი ისტორია და თანამედროვე ყოფის მიღწევები.

II ტომში წარმოდგენილია ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ა'ხერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ხალხების ეთნოლოგიური აღწერილობა და თანამედროვე ყოფისა და კულტურის სურათები. ა'ხერბაიჯანელებიდან აღწერილია ა'ხერბაიჯანელები, თათები, თალიშები, უდები და ე.წ. „შახდახის ჯგუფის“ ხალხები (ბუდუღები, ქრიზები და სინალუღები). საქართველოს ხალხებიდან აღწერილია ქართველები, აფხაზები და კავკასიის ბერძნები, ხოლო სომხეთის ხალხებიდან სომხები, ქურთები და ასურელები.

გამოცემას ახლავს მრავალფეროვანი საილუსტრაციო მასალა, ფოტოსურათები და გრაფიკული ჩანახატები, აგრეთვე, დიდი რაოდენობით ეთნოლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური რუქები, რომლებიც თვალსაჩინოს ხდიან ორტომეულში აღწერილ ეთნოლოგიურ მასალას, კავკასიის ხალხთა ყოფასა და კულტურას.

ნაწილი II

კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები

I. ქართველები

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, ეთნიკური ფორმირების და ეთნიკური ისტორიის საკითხები საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. არქეოლოგიური და ენობრივი მონაცემები ამ საკითხების შესახებ, რომლებიც დღეისათვის მოიპოვება მეცნიერთა განკარგულებაში, სხვადასხვა ავტორთა მიერ ხშირად განსხვავებულად განიმარტება, რაც ცხადია წარმოშობს აზრთა და მეცნიერულ თვალსაზრისთა სხვადასხ-ვაობას.

საქართველოს მეცნიერული ისტორიის შექმნის პირველ ხანებშივე ფართოდ მოიკიდა ფეხი თვალსაზრისმა იმის შესახებ, რომ ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები მათი განსახლებ-ის თანამედროვე ტერიტორიაზე მოვიდნენ სამხრეთიდან, მცირე აზიიდან, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. გან-

საკუთრებით თანშიმიდევრულად, არსებული საისტორიო წყაროების მთელი რეპერტუარის მოხმობით, ეს თვალსაზრისი გატარებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომებში. მაგრამ, თანამედროვე საისტორიო მეცნიერება, განსაკუთრებით აკად. ს. ჯანაშიას და აკად. ბ. კუფტინის დროიდან, უარყოფს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ ქართველები უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში მოსახლეობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ დღეს უკავიათ და მათ შორის კავკასიის მთიან ზოლშიც. საერთო ქართველური ფუძე-ენის და მაშინ არსებული (XX-ის 30-40-იანი წლები) არქეოლოგიური (შედარებით თანამედროვესთან) მწირი მასალის საფუძველზე გაკეთებულმა ამ დასკვნებმა, ბრწყინვალე დადასტურება პპოვა ჩვენს დღეებში, 80-90-იანი წლების მიჯნაზე, როდესაც დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ადამიანის ყბის ნაწილი, დამადასტურებელი ამ რეგიონის დედამიწის იმ ნაწილისადმი მიკუთვნებისა, სადაც ხდებოდა ადამიანის ფორმირების, მისი ჩამოყალიბების პროცესი.

ქართველოა ეთნოგენეზისის შესახებ არსებული მასალები ორი სახისაა: ენობრივი და არქეოლოგიური.

ენობრივი მასალის მიხედვით, კერძოდ, მცენარეული საფარის, ცხოველებისა და სხვ. ძველქართული სახელწოდებების გამოკვლევით ჩანს, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში, როდესაც არსებობდა საერთო ქართველური ფუძე-ენა და ძვ.წ. II ათასწლეულში ქართულ-ზანური (მეგრულ-ჭანური) ენობრივი ერთობა, ქართველ ტომებს უკვე ამ დროს უცხოვრიათ მათი თანამედროვე მოსახლეობის ადგილებში.

ამასთანავე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვე-

ბული მასალა საფუძველს იძლევა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ ამ ეპოქაშივე ქართველების და სხვა კავკასიელი ხალხების წინაპრებს შეხების წერტილები, კონტაქტები ჰქონიათ განსხვავებული წარმოშობის მათ მეზობელ სხვა ტომებთან და ხალხებთან; კერძოდ, ხური-ურარტუელებთან, ასევე ინდოევროპელ ტომებთან. სულ ბოლო ხანებში აკად. *თ. გამყრელიძემ* და *ვ. ივანოვმა* წარმოაყენეს თეზისი, იმის შესახებ, რომ კავკასიის ქართველური ხალხებით დასახლებული რეგიონი შედიოდა ინდოევროპელი ტომების უძველესი საშობლოს არეალში. ასევე, მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურის ძეგლების ანალიზის საფუძველზე, გამოითქვა მოსაზრება (გ. მელიქიშვილი) უძველესი ქართველური ტომების, ქართველურ ფუძე-ენათა მატარებელი ხალხის, სამხრეთ კავკასიის და მისი მეზობელი ტერიტორიების ინდოევროპულ ტომებთან კონტაქტების შესახებ ძვ. წ. III ათასწლეულში.

ძვ.წ. III ათასწლეულისათვის იყარაუდება ქართველურ ენათა ფუძე-ენის არსებობა, ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენათა ფუძე-ენის არსებობა (კერძოდ, აღმოსავლურკავკასიურისა, ე.წ. აფხაზურ-ადიღეურისა). მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ენები ნათესაურ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა) და მომდინარეობენ ერთი საერთო ფუძე-ენიდან, საიდანაც ენათა შემდგომი დიფერენციაციის შედეგად მოხდა წინა აზიის ძველი (აშუამად მკვდარი) ენების — შუმერულის, პროტოხეთურის, ხურიტულის, ურარტულის, ელამურის, ასევე, ამჟამინდელი ბასკურის წარმოშობა.

ქართველური ფუძე-ენის დაშლას მკვლევარები ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებენ. ამ დროს უნდა დაწ-

ყებულიყო სვანურის გამოყოფა ჯერ კიდევ დიდხანს არსებული ქართულ-ზანური (მეგრული-ჭანური) ენობრივი ერთობიდან, რომელიც როგორც ვარაუდობენ, დაიშალა ძვ.წ. VIII საუკუნეში (გ. კლიმოვი, ჰ. ფოგტი, გ. შელიქიშვილი).

ქართველური ტომების საძხრეთითაც გავრცელების, შათი აქ ცხოვრების შაჩვენებელია ის მასალები, რომლებიც არსებობენ მცირეაზიული ტომების მუშქებისა და ტაბალების შესახებ. ისინი ხშირად შოიხსენიებიან ძვ.წ. VIII-VII საუკუნის ასურულ წარწერებში. შათი სახელების ქართველური ტომის მესხების (ოსოხების) სახელთან მსგავსების გამო, ფართოდ იყო გავრცელებული ოსოაზრება იმის შესახებ, რომ ქართველების ერთადერთ წინაპრად სწორედ ეს წინააზიური მუშქები და თაბალები იყვნენ, რომლებიც თითქოს ძვ.წ. VII საუკუნეში გადმოსახლდნენ მცირე აზიიდან საქართველოში. ამჟამად, შართალია, ეს თვალსაზრისი უარყოფილია, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ტომებში ნაწილობრივ შაინც დავინახოთ, საძხრეთისაკენ გავრცელებული ზოგიერთი ქართული წარმოშობის ტომის წინაპრები.

გამოითქმოდა უსაფუძვლო ოსაზრებები საქართველოს ტერიტორიაზე და საერთოდაც კავკასიაში ოსახლეობის შეცვლის, ქართველური ტომების საძხრეთიდან გადმოსახლების შესახებ, გამოითქმოდა, თითქოს, არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობითაც. მაგრამ ბ. კუფტინი თავის შრომებში თანმიმდევრულად იცავდა თვალსაზრისს საქართველოს ტერიტორიაზე, საერთოდ სამხრეთ კავკასიაში, კულტურული განვითარების უწყვეტი ხაზის, ერთიანი ჯაჭვის შესახებ. აშას მოწმობს, აგრეთვე, საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის

ანთროპოლოგიური მასალა, რომლის მიხედვითაც, ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გვიან ეპოქებამდე ერთი და იგივე ანთროპოლოგიური ტიპი მოსახლეობდა და ადგილი ჰქონდა მის ორგანულ განვითარებას.

ცხადია, ამა თუ იმ ხალხის წარმოშობის და ეთნიკური ფორმირების საკითხი არ შეიძლება დაეყვანილ იქნეს მხოლოდ მათ აუტოქტონობასა ან მათ მიერ გვიან დაკავებულ ტერიტორიებზე გადმოსახლების საკითხამდე. უფრო მნიშვნელოვანი ჩანს თვალის გადევნება მათ მიერ განვლილი მთელი ეთნოსოციალური განვითარების გზისთვის, უძველესი დროიდან სულ ბოლო საფეხურებამდე.

მაშასადამე, ზემოთწარმოდგენილი ზოგადი მსჯელობების შემდეგ შეიძლება გაკეთდეს დასკვნები, რომ ენობრივი მონაცემების მიხედვით, უკვე ძვ.წ. III ათასწლეულში არსებობდა საერთო-ქართველური ენობრივი ერთიანობა და ქართველური ტომები ცხოვრობდნენ კავკასიაში. ამასთანავე, არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, აშკარაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე შეიმჩნევა უწყვეტი კულტურული განვითარება და ერთიდაიმავე ანთროპოლოგიური ტიპის არსებობა, მისი ორგანული სახეცვლილებითი განვითარება, რაც გამორიცხავს ვარაუდს აქ მოსახლეობის შეცვლის შესახებ; უფრო მეტიც, უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური გათხრებით, საქართველო არის ის ტერიტორია, სადაც მიმდინარეობდა ადამიანის წარმოქმნისა და ჩამოყალიბების პროცესი.

ცხადია, ის უძველესი დროის მოსახლეობა ცხოვრობდა ჯერ კიდევ ცალკეულ ტომებად, ისე რომ მეზობელ ტომებს შორის,

მართალია, ბევრი საერთოა ენობრივი თვალსაზრისით, მაგრამ, მათი ეთნიკური კუთვნილების თვით შეგნება, ალბათ, არ სცილდება საკუთარი ტომის ფარგლებს. იმ დროს წამყვანი იყო მაინც ენობრივი და საერთოდ ეთნიკური დიფერენციაციის პროცესები. მაგრამ, უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან, მონათესავე ტომების მსხვილი კავშირების შექმნით, ინტენსიურად იწყება ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა.

ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყისში, გვიანი ბრინაჯაოს ეპოქაში, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშობა დიდი არეალის მომცველი ერთგვაროვანი არქეოლოგიური კულტურები, რაც, რა თქმა უნდა, ტომთა მსხვილი კავშირების არსებობის მაჩვენებელია. ასევე, ცალკეულ ტომებსა და ტომთა კავშირებს შორის არსებული ურთიერთობები, საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური წინსვლის უდავო დადასტურებაა.

ბოლოს და ბოლოს, განვითარების ამ პროცესს მივყავართ, მონათესავე ტომების კავშირების საფუძველზე, მთელი რიგი ქართველური ტომების ჩამოყალიბებამდე. მათ შორის ანტიკურ ეპოქაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა *ქართის* (აღმოსავლურქართული, იბერიული) ხალხი, რომელიც იბერიის სამეფოს მოსახლეობის ძირითად ბირთვს შეადგენდა. იგი აღმოჩნდა შედარებით მტკიცე და ძლიერი სხვა ქართულ პოლიტიკურ და ეთნიკურ წარმონაქმნებს შორის. მან შეძლო არა მარტო ქართლის მთელი მოსახლეობის გაერთიანება, არამედ თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა საქართველოს ამ ტერიტორიაზე მოსახლე არაქართული ტომებიც. მისი სიძლიერის მაჩვენებელია ისიც, რომ მან არამარტო შეძლო კავკასიის მთიანეთში

მოსახლე ძრაკალრიცხოკანი ტომების დამორჩილება, არამედ მეგობრული კონტაქტების დამყარება კავკასიის გაღმა მოსახლე ალან-სარმატულ ტომებთან, რომელთა შეიარაღებულ რაზმებსაც იბერიის მმართველები სისტემატიურად იყენებდნენ მტრულად განწყობილი მეზობლების და თვით ყოვლისშემძლე პართიისა და რომის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ანტიკურ ეპოქაში უფრო სუსტი აღმოჩნდა *დასავლურქართული (კოლხური)* სახელმწიფო, რომელიც, ძირითადად, ჩამოყალიბდა კოლხეთის დაბლობის ფარგლებში. ამას ადასტურებენ ანტიკური ავტორების, განსაკუთრებით სტრაბონის (I ს) და არიანეს (I-II სს) ცნობები. როგორც წერილობითი, ასევე სხვა სახის წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ დასავლურქართულ სახელმწიფოს შეუდარებლად უფრო მძიმე პირობებში მოუხდა არსებობა და განკითრაება, ვიდრე იბერიას. კერძოდ, იგი მუდმივად განიცდიდა ძლიერი ანტიკური სახელმწიფოების პონტოს საშეფოსა და რომის დაწოლას, ასევე მეზობელი მთიელი ტომებისას, რომლებზედაც მან ვერ მოახერხა ისე მტკიცედ გაბატონება, როგორც ეს იბერიამ შეძლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებზე. უფრო მეტიც, კოლხეთის სამეფომ ვერ შეძლო ჩაერთო თავის შემადგენლობაში თვით ყველა დასავლურ-ქართული ტომებიც კი — კერძოდ პონტოს მთებში მცხოვრები ამ ტომების წარმომადგენელი ჭანები ამ სახელმწიფოებრიობის გარეთ რჩებოდნენ და ანტიკურ ეპოქაში ჯერ კიდევ განვითარების პირველყოფილ-თემური წყობის დონეზე იმყოფებოდნენ. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოს ტომების ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესის შედარებით სისუსტეს.

აქასთანავე, ძლიერი ანტიკური იბერია იმასაც ასერხებდა, რომ დროდადრო თავის პოლიტიკურ ბატონობას აკრცელებდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ტერიტორიაზე. ამას მოწმობენ, როგორც ანტიკურ ავტორთა, ისე ქართული ისტორიული ქრონიკების კრებულის „ქართლის ცხოვრების" ცნობები. ეს კი კიდევ უფრო ხელს უწყობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებას. ძველიბერიულმა სამეფოს სიძლიერემ და სიმტკიცემ განაპირობა მის წიაღში ჩამოყალიბებული ქართის ხალხის სიძლიერე, რომელმაც შემდეგში მაკონსოლიდირებელი ბირთვის როლი შეასრულა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში.

ქართველი ხალხის ჩამოყალიბებაში ახალ მძლავრ სტიმულს წარმოადგენდა ქრისტიანული რელიგია, რომელიც ოფიციალური რელიგიის სახით აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრდა IV საუკუნეში. მისმა ძალით დანერგვამ იბერიის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კავკასიის ძთიანეთში ხელი შეუწყო მათ კულტურულ-რელიგიური განცალკევებულობის მოშლას და აღმოსავლურქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში მტკიცედ დამკვიდრებას. ქართლის ეკლესიამ, წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე დამკვიდრებასთან ერთად, ხელი შეუწყო ქართული დამწერლობის შექმნას და გავრცელებას.

დასავლეთ საქართველოში კი ქრისტიანობა გავრცელდა ორი გზით — ბიზანტიიდან და ქართლიდან. აქ თავიდან წირვა-ლოცვის ენად ბერძნული იყო მიღებული და კარგა ხანსაც გაბატონებული, მაგრამ ქართლის ეკლესიამ იგი თანდათან გამოდევნა ხმარებიდან, დაამკვიდრა თავისი ქართული ენა და

ბოლოის და ბოლოს მიაღწია დასავლურქართული ქრისტიანული ეკლესიის შერწყმას აღმოსავლურქართულ ქრისტიანულ ეკლესიასთან, რაც ცხადია, შეშდგომში ეთნიკური კონსოლიდაციის მტკიცე გარანტი იყო. ამ საქმეში — აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანული ეკლესიების დაახლოებასა და ბიზანტიური საეკლესიო გავლენისაგან ქვეყნის განთავისუფლებაში, საბოლოო ჯამში კი ერთიანი ქართული პოლიტიკური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და კონსოლიდაციაში დიდი როლი ითამაშეს VIII ს-ში წარმოშობილი დასავლურ-ქართული პოლიტიკური ერთეულის — აფხაზთა (ეგრის-აფხაზთა) სამეფოს მმართველებმა.

დასავლეთ საქართველოში წარმოშობილმა ამ ძლიერი ქართული პოლიტიკური ერთეულის მესვეურებმა ხელში ჩაიგდეს ინიციატივა და მოახერხეს საფუძველი ჩაეყარათ და ბოლომდე მიეყვანათ ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საქმე. ამ საქმეში მათ ხელი შეუწყო აფხაზთა სამეფოს მონოლითურობამ, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობამ და თავისუფალ მწარმოებელთა დიდი ნაწილის არსებობამ, რომელთა დაშეკების ხარისხი ნაკლები იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსთან (ქართლსა და ტაო-კლარჯეთთან) შედარებით, სადაც ფეოდალიზაციის პროცესი ღრმად იყო წასული.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანებამ XI-XII საუკუნეებში კიდევ უფრო დააახლოვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები. ქართული ენა ამიერიდან გახდა ეროვნულ საკომუნიკაციო ენად საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მოსახლეობისათვის; იგი გადაიქცა სახელმწიფოს, ეკლესიის, ლიტერატურის ენად. ყველაფერს ამას შედეგად მოპყვა საერთო ქართული

სახელმწიფოს წარმოქმნა, ერთიანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების თვითშეგნების ჩამოყალიბება.

II. სომხები

კავკასიაში სომხები ისტორიულად დასახლებულები იყვნენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც სომხეთის ზეგანი, ანუ სომხეთის მთიანეთი ეწოდება. ეს ადგილი დედამიწის იმ რაიონებს მიეკუთვნება, სადაც ადამიანის ფორმირება, თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა. ცხადია, ეს მტკიცდება არქეოლოგიური მასალით, კერძოდ, სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია შელის და აშელის კულტურის შრომის იარაღები, ასევე მეზოლითის ეპოქის ძეგლები.

ნეოლითის ეპოქაში სომხეთის ზეგანის მოსახლეობა ვადავიდა სამონადირეო-შემგროვებლობითი საქმიანობიდან პირველყოფილ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე. ხოლო, უკვე ნეოლითურ ეპოქაში, ითვლება, რომ ჩამოყალიბდა ადამიანის არსებობელი ტიპი, ე.წ. წინაზიური რასა. მიჩნეულია, რომ იგი ჩაისახა სომხეთის ზეგანზე და შემდეგ გავრცელდა წინა აზიის ქვეყნებში.

პირველყოფილ მიწათმოქმედთა დასახლებები სომხეთში აღმოჩენილია მრავალ ადგილას, მათ შორის, ყველაზე მეტი რაოდენობით არარატის ველზე; ესენია შენგავიტი, შრეშბლური და სხვ. ისინი თარიღდებიან ძვ.წ. III ათასწლეულით. ამ დასახლებათა ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენდა პრიმიტიული მიწათმოქმედება შერწყმული მესაქონლეობასთან. ამასთანავე, სომხეთის ზეგანზე სახვაფხულო და სახამთრო საძოვრების ხელსაყრელმა თანაარსებობამ განა-

პირობა მომთაბარე მესაქონლეობის განვითარება, კერძოდ კი საიალაღო მესაქონლეობისა.

პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობების ჩამოყალიბება იწყება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, რომელიც ხასიათდება მაღალმთიან რაიონებში ბრინჯაოს ინდუსტრიის აყვავებითა და ტომთაშორისი გაცვლების განვითარებით. სწორედ ამ დროს განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ტომების შორის შეტაკებანი, მიწების ხელში ჩაგდება ნადავლის სახით და საბოლოო ჯამში — მონათმფლობელური წყობის განმტკიცება.

ამ დროისთვის უკვე დგება ეპოქა, როდესაც იწყება სომხეთის ზეგანზე მოსახლე ტომების ეთნიკური კონსოლიდაცია. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჰომეროსის ეპოქის *არიმებმა* — სომეხთა ინდოევროპულმა წინაპრებმა.

ჯერ კიდევ III-II ათასწლეულის მიჯნაზე არიმები თრაკიის სანაპიროებიდან გადასახლდნენ მცირე აზიის სანაპიროებზე, სადაც მოექცნენ ტროას სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენლობაში. მოგვიანებით ისინი გასცდნენ *ჰალიასის* ველებზე და გავრცელდნენ ისტორიული მცირე არმენიის ტერიტორიაზე. დადგენილია, რომ აქას ადგილი პქონდა ძვ.წ. XIV-XIII სს., ხეთების სახელმწიფოს აყვავების ეპოქაში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა არიმებით დასახლებული ტერიტორიაც — *ჰაიასა*. ნაწილი ამ ტერიტორიისა უკვე ისხენიება ხეთურ წარწერებში *არმატანას* სახელწოდებით.

ასევე, ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებს განეკუთვნება სომხური ტომების პირველი გაერთიანებები, რომელთაც თავიანთი გავლენა გაავრცელეს დასავლეთ ევფრატის ველებზე.

ცნობილია, რომ ხეთების სახელმწიფო დაემხო ფრიგიელთა შემოსევების შედეგად ძვ.წ. XII საუკუნის დასაწყისიდან, ე.წ. დორიული გადასახლებების დროს. ამ დროს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ინდოევროპელი სომხების წინაპრები შეერივნენ ხეთურ-ნესიტელ, იეროგლიფურ ხეთურ და ხურიტულ ტომებს, ხოლო ნაწილობრივ პროტოხეთურ აფხაზურ-ადიღეურ და ქართველურ ტომებს. ასე შეიქმნა ახალი ეთნიკური წარმონაქმნი, რომელიც სომხურ ენაზე მეტყველებდა. ეს ენა კი მაშინ ბევრად ახლოს იდგა ინდოევროპულ ენებთან, ფრიგიულთან და თრაკიულთან.

სომხურ ტომებს, რომლებიც *ჰაიასა-ხათეს* ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ, ასურელები ურუმებს ეძახდნენ, ხოლო უფრო ხშირად კი ისინი მათ წარწერებში „ძუშქების" სახელით იხსენიებიან. ამ ეთნიკურ ტერმინს უკავშირდება, კერძოდ, მისგან წარმოშობილად მიიჩნევა სომეხთა ქართული სახელწოდება. ხოლო თვით სახელწოდება სომხებისა *ჰაი* და სომხეთის *ჰაიკ, ჰაიასტანი*, მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, წარმოსდგება ჰაიასას ქვეყნის სახელწოდებიდან. თუმცა, არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ ტერმინ „ჰაი"-ს კავშირი აქვს ტერმინთან „ხათე" — ე.ი. „ხეთების ქვეყანა".

სომეხი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც თავდაპირველად დაიწყო ხეთურ-ხურიტულ ჰაიასა-ხათეს ტერიტორიაზე, თანდათან გავრცელდა მთელს სომხეთის ზეგანზე, ე.ი. მან მოიცვა საკმაოდ დიდი ადგილი. ჯერ კიდევ XIII-XII საუკუნეებში სომხურმა ტომებმა, რომლებიც ჰაიასა-ხათეს ქვეყანაში მოსახლეობდნენ, დაიწყეს შეჭრა სომხეთის ზეგანისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის სიღრმეში. დადგენილია, რომ ძვ.წ. 1170-

1165 წწ სომეხთა ინდოევროპელი წინაპრები შეიჭრნენ ასურეთის *შუბრიის* ოლქში (სოფენასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში) და დაპყრობნენ აქ დასახლებულ ხურიტებს შორის.

შემდგომში მათ ხელი მიეყვეს მიწათმოქმედებას, უარყვეს მომთაბარე ცხოვრება და ხარკს უხდიდნენ ასურელებს. ამ დროიდან ასურულ და ურარტულ წარწერებში შუბრიის ოლქი, იქ დასახლებული ახალმოსახლეების სახელის მიხედვით იწოდება *ურუმად* ანუ *არმად*. ხოლო მოგვიანებით — *არმინად*.

სწორედ სოფენა-შუბრიის ტერიტორიაზე მოხდა სომეხი ტომების მეორე გაერთიანება, რომელმაც სათავე დაუდო სომხეთის ზეგანზე მოსახლე ტომთა ეთნიკურ კონსოლიდაციას ერთიან სომეს ხალხად. სომხური ენა უკვე მეტოქეობას უწევს ზეგანის აბორიგენთა ადგილობრივ ენას, თუ ენებს და თანდათან იკავებს ტომთაშორისი ურთიერთობის ენის ადგილს.

იმდროინდელი მსოფლიო ისტორიის თვალსაწიერიდან თუ გადავხედავთ, ცნობილია, რომ ძვ.წ. XIII საუკუნის დასაწყისიდან ასურელები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ საომხედრო ლაშქრობებს სომხეთის ზეგანის მთიან ხეობებში, ხელთ იგდებენ საქონელსა და ატყვევებენ ადამიანებს. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სომხეთის ზეგანზე მოსახლე ტომები ერთიანდებიან კავშირებში, მათგან, ასურული წერილობით ძეგლებში სხვებზე მეტად და ხშირად იხსენიებიან *ურუატრი, ნაირი* და *დაიანა*. დროთა განმავლობაში ამ ტომთა კავშირებისგან სომხეთის ზეგანზე ჩამოყალიბდა პირველი, უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — ურარტუ.

ურარტუს სახელმწიფო ჩამოყალიბდა ძვ.წ. IX საუკუნეში და თავისი სიძლიერის უმაღლეს საფეხურს მიაღწია ძვ.წ. VIII

საუკუნეში. სწორედ ურარტუს სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ მოექცა ამ დროისთვის სომხური ტომების დასახლების უმთავრესი ტერიტორიები — არმუ-შუბრიის ოლქი. ამას ადგილი პქონდა ძვ.წ. 773-714 წლებში.

ურარტუელების მიერ დამორჩილებული ეს ტომები არამარტო ხარკს უხდიდნენ მათ, არამედ წარმოადგენდნენ ძირითად ძალას ურარტუს სწრაფად მზარდი მონათმფლობელური მეურნეობისთვის. ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობის კვალდაკვალ ურარტუელები მისდევდნენ ამ ტერიტორიებზე დასახლებული ტომების მასობრივ, იძულებით გადასახლებებს თავიანთი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილებში და მათ შორის სომხეთის ზეგანზე. იგი ძვ.წ. VIII საუკუნეში გადაიქცა ურარტუს ერთ-ერთ მსხვილ ეკონომიკურ ცენტრად, ხოლო მოგვიანებით ყველა სოფლური ტომებით დასახლებული მიწების გაერთიანების ადგილად.

ყოველივე ამას მოწმობენ მრავალრიცხოვანი ურარტული წარწერები, რომლებშიც ხშირად არის მოთხრობილი მოსახლეობის მასობრივი გადასახლების შესახებ იმ ადგილებიდან, რომლებიც უპირატესად სწორედ სომხური ტომებით იყვნენ დასახლებულნი. ამის შედეგად ურარტუს მეფეებმა, მათდაუნებურად, მონათმფლობელური ეკონომიკის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ხელი შეუწყეს სომხური ეთნოსის როლის გაძლიერებას თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში.

სომხეთის ზეგანზე განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ტომებისა და ხალხების შერევის, დაყოფის და დანაწილების პროცესი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში. ამ დროს პქონდა სწორედ ადგილი კიმერიელებისა და სკვითების შემოსევებს

ჩრდილოეთიდან; მიმდინარეობდა სომეხი ხალხის ინტენსიური ფორმირება, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს არამარტო სომხეთის ზეგანზე მოსახლე ურარტულმა ტომებმა, არამედ კიმერიულ-სკვითურმა ეთნიკურმა ელემენტებმაც. სომეხი ხალხის საერთიერთობო ენად გადაიქცა არიმურუმების ინდოევროპული ენა.

სომეხი ხალხის ეთნიკური ფორმირების პროცესი ძ.წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე, ასურეთისა და ურარტუს დაცემისა და მიდიის სახელმწიფოს გაძლიერების დროს, ძირითადად, დამთავრებული იყო. ამას მოწმობენ ძველადმოსავლური, კერძოდ, აქემენიდური წარწერები და ძველბერძენ ავტორთა ცნობები. 521-517 წლებში დაითარიღებული ბეხისტუნის ლურსმულ წარწერაში დასახელებულია *არმინას* ქვეყანა, რომელიც დამორჩილებული შეავს აქემენიდურ სახელმწიფოს. ამავე წარწერის თანმხლებ რელიეფზე, სხვა ხალხებს შორის, გამოსახულია სომხები, რომლებიც ხარკს უხდიან აქემენიდ მეფეს დარიოს I-ს. ითვლება, რომ ეს არის სომხის ამუაშად ცნობილი ყველაზე ადრეული გამოსახულება — საინტერესო წყარო მისი ფიზიკური ტიპის, ეთნიკური სახის დასახასიათებლად.

ძველი საბერძნეთის კლასიკოსი ისტორიკოსები ჰეროდოტე (V ს) და ქსენოფონტე (V-IV სს) მოგვითხრობენ უკვე სომხეთის, არმენიის ვრცელი ტერიტორიების შესახებ. ამ დროისათვის ამ ხალხის ჩამოყალიბების ეთნიკური პროცესი საბოლოოდ დამთავრებული ჩანს. ყველაფერი მეტყველებს, რომ იგი მიმდინარეობდა სომხეთის ზეგანის ტერიტორიაზე ინტენსიური მიწათმოქმედების საყოველთაო გავრცელებისა და განვითარების პირობებში, რაც ხელს უწყობდა კლასების წარმოშობისა

და განმტკიცების ყოველისმომცველ პროცესს.

სწორედ ასეთ პირობებში, ურარტუს სახელმწიფოს ნანგრევებზე წარმოიშვა სომხეთის მონათმფლობელური სახელმწიფო. პოლიტიკურად იგი ასე წარმოსახა: ძვ.წ. 624 წელს ურარტუს სახელმწიფოს ცენტრში, ქ. *ტუშპაში* (ვანი), განმტკიცდა ერვანდუნთა სომხური დინასტია. ეს პირველი სომხური სახელმწიფო არსებობდა ძვ.წ. 520 წლამდე, სანამ იგი არ დაიპყრეს სპარსელებმა. შემდგომში, ძვ. წ. 520-330 წწ სომხეთის საზოგადოების, ამ ქვეყნის განვითარება მიმდინარეობდა აქემენიდთა სპარსული სახელმწიფოს ბატონობის პირობებში.

ძვ.წ. IV საუკუნეში აქემენიდური სპარსეთი დაემხო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად და სომხურმა სახელმწიფოებრიობამაც აღორძინება დაიწყო. ამ დროს, ელინისტური ეპოქის დადგომის პირობებში, სომხეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია ქ. არმავირი, ძველი ურარტუელების *არგიშტიხინილი*. ძვ.წ. II და I საუკუნეების მიჯნაზე სომხეთის ზეგანსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებობდა სომხური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები: *პირარატი, სოფენა-კომპანგენა, დიდი სომხეთი* და *მცირე სომხეთი*. ყველა ისინი შეირწყნენ ერთიან მონათმფლობელურ სომხურ სახელმწიფოდ — *დიდ არმენიად*, რომლის სათავეში მოექცა ძვ.წ. 189 წელს დაარსებული არტაშესიდების დინასტია. ამ დროიდან და ახ.წ. IV საუკუნემდე, თითქმის მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში, დიდი არმენია არსებობდა, როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული მონათმფლობელური სახელმწიფო, სანამ იგი არ დაიშალა ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად.

ორითოდე სიტყვით ამ მონათმფლობელური სომხეთის თავისებურებათა შესახებ. ქვეყნის უშუალო მწარმოებლები იყვნენ მეთევზეები და დაქირავებული მირები. ცენტრებს წარმოადგენდნენ ამ დროისათვის წარმოქმნილი სომხური მონათმფლობელური ელინისტური ქალაქები. სწორედ მათ გარშემო არსებობდა უპირატესად მონათმფლობელური საკარგულები — აგარაკები და დასტაკერტები.

ძვ.წ. I საუკუნეში დიდი არმენია გადაიქცა იმ დროის ელინისტური სამყაროს ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად. მისი სახელმწიფოს ყველაზე დიდი და სახელგანთქმული მეფის ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-56 წწ) დროს გადაიჭიმა მდ. მტკვრიდან კასპიის ზღვის სანაპიროებზე მდ. იორდანამდე ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე, ასევე, კილიკიის ტავრებიდან მიდიის მთებამდე. ქვეყნის დედაქალაქი *არტაშატიდან,* რომელიც არარატის ზეგანის ცენტრში მდებარეობდა, გადატანილ იქნა *ტიგრანაკერტში,* ალძნიკის ოლქში, ძვ.წ. 77 წელს. ახალი დედაქალაქი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილზე აღმოჩნდა, მალე გადაიქცა ვაჭრობისა და ხელოსნობის მსხვილ ცენტრად.

ტიგრან II-ის მეფობის მეორე ნახევრიდან სომხეთს უხდებოდა მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლების წარმოება რომის აღმოსავლური ექსპანსიის წინააღმდეგ. რომაელი სარდლის პომპეუსის წარმატებულმა ლაშქრობებმა აღმოსავლეთში, სომხეთი აიძულა რომისათვის საბოლოოდ დაეთმო სირია და მცირეაზიული საკუთრებელოები. ჩვ.წ. I საუკუნეში რომაელებმა მოახ-

ერეს არტაშიდების დინასტიის დაცემა და სომხეთის თავისი ხელისუფლებისათვის დამორჩილება.

ახ.წ. 62 წელს აღდგენილ იქნა სომხური სახელმწიფოებრიობა პართიისა და რომის სომხალური უზენაესობის პირობებში. სომხეთის მეფე გახდა პართიის მეფის ვალარშის ძმა *თრდატ I* (63-75 წწ), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სომხეთში არშაკიდების (არშაკუნების) სამეფო დინასტიას.

ახალშექმნილ ისტორიულ პირობებში სომხეთში ხელისაყრელი ვითარება შეიქმნა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებლად. 301 წლის ახლო ხანებში მეფე *თრდატ III* (287-332 წწ) მოინათლა არქიეპისკოპოს გრიგოლ განმანათლებლის მიერ. ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადება ხელს უწყობდა სომხეთში ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარებას და შემდგომ განტკიცებას. ხოლო სომეხი ხალხის ეთნიკური ჩამოყალიბებისა და კონსოლიდაციის პროცესი იმ სახით, როგორც იგი დღეს წარმოგვიდგება, ამ დროისათვის საბოლოოდ დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

III. აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები შეტად რთულია და მტკიცედ არის გადაჯაჭვული კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე უძველესი დროის მოსახლე ტომების, აგრეთვე, ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდებში ისტორიის არენაზე გამოსული სხვადასხვა თურქულ-სელჯუკური ტომების ეთნიკური ისტორიის საკითხებთან. ფაქტია, რომ ამ ხალხის და მისი ენის იმ

სახით ჩამოყალიბებაში, როგორი სახითაც მას დღეს ვიცნობთ, მრავალმა ხალხმა და ტომმა, აგრეთვე მათმა ენებმა და სხვადასხვა სარწმუნოებრივმა მიმართულებებმა მიიღეს მონაწილეობა — იგი შეიქმნა მათი შერწყმის, ერთმანეთში გათქვეფის და ასე ჩამოყალიბების გზით.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები იმის საფუძველს ქმნიდა, რომ აქ ადამიანის საქმიანობა, მისი გამოჩენა უძველეს დროს, უკვე პალეოლითის ეპოქაში დაწყებულიყო; ხოლო ძვ.წ. II ათასწლეულში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაიწყო ბრინჯაოს ეპოქა. ამავე დროს, აღგილობრივი ტომები იყოფოდნენ მიწათმოქმედ და მესაქონლე ტომებად. ბრინჯაოს ეპოქის დასასრულს კი აზერბაიჯანში დამკვიდრდა ნახევრადმომთაბარე მესაქონლეობა.

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში თანამედროვე აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში და მათ მიმდებარე ირანის ქურთისტანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა *ლულუბეა* და *ქუთის* ტომების კავშირი. ძვ.წ. III ათასწლეულიდან I ათასწლეულის დასაწყისამდე ქვეყნის ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი ტომების მეზობლებს წარმოადგენდნენ ლულუბურ-ქუთიური ტომები — *მანები*, რომლებიც მოსახლეობდნენ ურმიის ტბის სამხრეთით და აღმოსავლეთით. მათი აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ მიდიელთა ტომები. მდ. ყარასუს ველზე, ყარაღაღში, ბინადრობდნენ *კადუსების* მებრძოლი ტომები.

რომლებსაც ეკავათ, აგრეთვე, შდ. არაქსის სამხრეთი შენაკადები. კასპიის ზღვის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე ცხოვრობდნენ *კასპები*. ისინი, როგორც ჩანს, ეთნოენობრივი თვალსაზრისით ახლოს იდგნენ *კასიტებთან* — ლულუბეების აღმოსავლეთელ შეზობლებთან. მოგვიანებით კასპები შეერწყნენ სხვა მეზობელ ტომებს და მათი სახელი მხოლოდ კასპიის ზღვის სახელწოდებაში შემოინახა.

აზერბაიჯანელი ხალხის ეთნიკური ფორმირების პროცესში არამცირედი მონაწილეობა აქვთ მიღებული ალბანელ ტომებს, რომლებიც ბინადრობდნენ შდ. მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებში.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელს ამ უძველეს ტომებსა და ხალხებს მჭიდრო ურთიერთობა პქონდათ ურარტუელებთან, რომლებიც შემდეგში შეეიღნენ სომეხი და ქართველი ხალხების შემადგენლობაში.

მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ ძვ.წ. VIII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში გამოჩნდნენ კიმერიელებისა და სკვითების ტომები; მათ გადმოლახეს კავკასიონი და ამიერკავკასიის სხვა ხალხებს შორის თავდასხმებს მიმართავდნენ აზერბაიჯანს, ირანის და სხვა მეზობელი ხალხების ტერიტორიაზე. ძვ.წ. VII საუკუნეში სკვითური ტომების ძნიშვნელოვანი მასა დასახლდა აზერბაიჯანის სტეპურ რაიონებში.

პირველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს აზერბაიჯანში წარმოადგენდა *მანების* ტომობრივი კავშირები. ძვ.წ. IX საუკუნეში მანაში შეიქმნა ადრე მონათმფლობელური სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო იზირტუ. მანა წარმატებულ ომებს აწარმოებდა ასურეთის და ურარტუს წინააღმდეგ და ამის

შედეგად ძვ.წ. VIII საუკუნის დასასრულისთვის მან შეძლო თავის ძალაუფლება გავრცელებინა ურმიის ტბის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებზე და აგრეთვე, მდ. ყიზილ-უზენის სათავეებში. მანას დაქვემდებარებულ ოლქებს შორის ერთ დროს იყო თვით მიდიაც, რომელიც VII-VI საუკუნეების მიჯნაზე გადაიქცა ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ — მან გაანადგურა ურარტუ და დაიმორჩილა მანა.

ელინისტურ ეპოქაში, ძვ.წ. IV-ის ბოლო მესამედში, აქემენიდური სპარსეთის ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა განადგურების შედეგად, მიდიის ნაწილი, რომელიც მცირე მიდიად, ანუ მიდია-ატროპატენად იწოდებოდა ჩამოყალიბდა ცალკე სახელმწიფოდ. იგი ძირითადად, მოიცავდა თანამედროვე სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიას.

აზერბაიჯანის უძველეს სახელწოდებად მეცნიერებაში მიჩნეულია *ატროპატენა*. შემდეგში მან სახე იცვალა და სპარსელებში ჩამოყალიბდა *„ადერ-ბადაგანის“* ფორმით, სომხეთში *„ატრაპატკანად“*, ხოლო არაბეთში *„ადერბაიჯანად“*, ანუ *„აზერბაიჯანად“*, რაც „ცეცხლის ქვეყანას“ ნიშნავს; როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი სახელი აქ დამკვიდრდა იმის გამოც, რომ ამ ტერიტორიაზე ფართოდ იყო გავრცელებული ცეცხლთაყვანისმცემლობა. როგორც ცალკე სახელმწიფომ ატროპატენამ იარსება ძვ.წ. II საუკუნის შუა ხანებამდე. ამ დროს კი იგი მოექცა პართიის გავლენის ქვეშ, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებამდე.

ატროპატენას სახელმწიფოს არსებობის პერიოდში გაძლიერდა აზერბაიჯანის ადგილობრივი ტომების ერთიან ხალხად შერწყმის პროცესი. ამ პროცესის ძირითადი შემადგენელი ნაწილები იყო ძვ.წ.

III-I ათასწლეულებში აქ მოსახლე ტომები, აგრეთვე, მანები, კასპები, კადუსები, მიდიელთა ნაწილი, რომლებიც სამხრეთ აზერბაიჯანის სახლეურებში მოსახლეობდა და სხვები.

ატროპატენას უძველესი ძლიერების პერიოდში მისი მოსახლეობა, რომელიც ძველი აზერბაიჯანული ეთნოსის უმთავრეს ნაწილს შეადგენდა, მეზობელი ხალხებისთვის ცნობილი იყო კრებითი სახელწოდების „ატროპატენას" მიხედვით. ატროპატენას ხალხის ფორმირების პროცესში ყალიბდებოდა მისი ენაც. როგორც ჩანს, ეს ის ენა იყო, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა აზერი-ს სახელით და შეეიდა ირანული ენების ოჯახში. იგი ძლიერ განსხვავდებოდა სპარსულისაგან და ახლოს იდგა თალიშურთან.

ჩამოყალიბების გზაზე მდგარ აზერბაიჯანელი ხალხის შემადგენლობაში მოვგიანებით შეეიდა ჩრდილოეთით მოსახლე ალბანური ტომები. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩრდილოეთისა და სამხრეთისათვის ერთიანი აზერბაიჯანული ენა. მის ჩამოყალიბებას რამდენიმე საუკუნე დასჭირდა და სხვადასხვა ტომთა ენების შერწყმის გზით იქნა მიღებული.

თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული ქვეყნის ჩრდილოეთით მოსახლე ალბანელ ხალხს. ალბანეთად ძველად იწოდებოდა აზერბაიჯანის ჩრდილოეთი რაიონები და სამხრეთ დაღესტანის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თავისი ეთნიკური შემადგენლობით ალბანეთი მეტად ჭრელი იყო. მისი მოსახლეობის ენა კავკასიურ ოჯახს ეკუთვნოდა და ყველაზე ახლოს იდგა დაღესტნურ ენებთან. ალბანეთის შედარებით მსხვილ ეთნიკურ ტომებს შეადგენდნენ *ალბანები,*

ულელები, ვარვარები, ლეკები (ლეკები). ანტიკურ ავტორთა ცნობებით, აქ 23 ტომი ბინადრობდა. იგი შეიდროდ დასახლებულ მდიდარ ქვეყანას წარმოადგენდა. მინგეჩაურში, იალოილუ-ტეფესა და სხვაგან წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ალბანელთა სოფლის მეურნეობის იარაღები, საბრძოლო საჭურველი, ყოფის საგნები, სამკაულები, მოგვიანო-ქრისტიანული ხანის წერილობითი ძეგლები, წარწერები და სხვ. რაც ძველი ალბანეთის მაღალგანვითარებულობის მაჩვენებელია.

ძვ.წ. I საუკუნეში ალბანეთსა და ატროპატენაში, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე, ჩრდილოეთიდან შემოიქრნენ მომთაბარე ტომები. რომლებმაც გაანადგურეს ეს ქვეყნები, მათ შორის იყვნენ თურქულენოვანი ჰუნები და ხაზარები. ამ მომთაბარე ტომების მნიშვნელოვანი ნაწილი აქ დასახლდა და შეერია ადგილობრივ მოსახლეობას. ამის შედეგად, აგრეთვე, სხვა ფაქტორების ზემოქმედებით, აზერბაიჯანში თანდათან ძლიერდებოდა თურქული ენობრივი ელემენტი.

III-V სს აზერბაიჯანში დაიწყო ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება, რომელიც აქ მოელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. კერძოდ, ისევე, როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, საკუთრივ ფეოდალთა მეურნეობა უმნიშვნელო იყო ან სულ არ იყო, ძირითადად წარმოებდა სასურსათო გადასახადის ამოღება და სხვა. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ ალბანეთში შეიქმნა სახელმწიფო დედაქალაქით *ბარდავში*; ამავე დროს, IV საუკუნიდან ალბანეთში გავრცელდა ქრისტიანობა, ხოლო ატროპატ-

ენაში გაბატონებული იყო ზოროასტრიზმი.

III საუკუნეში, ამ დროისთვის გაძლიერებულმა და აღმავლობის გზაზე მდგარმა სასანურმა ირანმა დაიმორჩილა ატროპატენა და დაიწყო ალბანეთის დაპყრობა. ამიერკავკასიაში ერთმანეთს შეეჯახა სასანური ირანისა და ბიზანტიის იმპერიის ინტერესები. ხანგრძლივი და გამანადგურებელი ბრძოლები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, იმ დროის ამ ორ უძლიერეს იმპერიას შორის 390 წელს დადებული ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის თანახმადაც ალბანეთი, სომხეთის აღმოსავლეთი რაიონები და იბერია (აღმოსავლეთ საქართველო) სასანური ირანის ხელში გადავიდა.

ირანი, ცხადია, ყოველმხრივ, მათ შორის ხალხთა გადასახლების გზითაც, ცდილობდა ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას და ამ მიზნით ალბანეთში დაიწყო ირანულენოვანი ტომების ჩასახლება, რომლებმაც შემდეგში მიიღეს *ტატების* სახელწოდება. ისინი განსახლდნენ აფშერონის ნახევარკუნძულზე, შემახის და დიფიქის, ყუბის და ზოგი ხნეა რაიონების ტერიტორიაზე. თანამედროვე ტატები ამ ძველი გადმოსახლებულების შთამომავლები არიან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფა, შეერწყა მას და მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანელი ხალხის, როგორც ეთნოსის ფორმირებაში.

V საუკუნის დასაწყისში ალბანეთში შეიქმნა ორიგინალური დამწერლობა, რომელიც გამოიყენებოდა ქრისტიანული რელიგიის საჭიროებისთვის. აშენდა ეკლესიები, რომლებთანაც შეიქმნა სკოლები. *გარდმანში* შეიქმნა ცალკე პოლიტიკური ერთეული ამავე სახელწოდების დედაქალაქით, რომლის ეკლეს-

ხიას აღიგრეოოვანებაში მოპყავდა მნახველები მაღალი საამ-შენებლო ხელოვნებით, ფრესკული მხატვრობით, ქვაზე კვეთით და ძვირფასი ლითონის საამკაულით.

ამ დროის ალბანეთის და ატროპატენის კულტურა მჭიდრო ურთიერთობაში იყო მეზობელი ხალხების — ქართველების, სომხების, დაღესტნელების და ირანელთა კულტურასთან. ატროპატენისა და ალბანეთის ხანგრძლივი ერთად ყოფნა ერთი სახელმწიფოს, ირანის შემადგენლობაში, ხელს უწყობდა აზ-ერბაიჯანის ამ ორი ისტორიული ნაწილის დაახლოებას, მათ შერწყმას და ეთნიკური ერთიანობის პროცესის დაჩქარებას.

VII საუკუნის შუა ხანებში აზერბაიჯანი მოექცა არაბთა მფლობელობის ქვეშ. დაიწყო ისლამის დანერგვა და არაბული დამწერლობის გავრცელება. მაგრამ აზერბაიჯანელები, ისევე როგორც ქართველი და სომეხი ხალხები, სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდნენ არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს, საკუთრივ სახალიფოში ფეოდალურ ში-ნააშლილობაია და დაქუცმაცებულობის ტენდენციის გაძლიერე-ბის შედეგად, იგი დაიშალა და ამიერკავკასიის ხალხებიც განთავისუფლდნენ მაიი ბატონობისაგან. ამის ერთ-ერთი შედეგი იყო, რომ აზებრაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მთელი რიგი ფეოდალური პოლიტიკური ერთეულებისა: *შირვანი* — შირვანშაპებით სათავეში (დედაქალაქი იყო შემახა), სამხრეთ აზერბაიჯანში *საჯიდებისა, არდებელის* გარშემო *ხალარიდე-ბისა*, განჯის ოლქში *შედადიდებისა* და სხვ. მოგვიანებით, XII-XIII საუკუნეებში ზოგი მათგანი, სულ უშუალოდ და ზოგიც ყმადნაფიცობის პირობით, შევიდა ერთიანი, ძლიერი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელიც არა

ძარტო კა

შერწყმის გზით ჩამოყალიბებული აზერბაიჯანული ენა, თავდაპირველად დამკვიდრდა საერთო-სახალხო სასაუბრო ენად; იგი სალიტერატურო ენად მაშინვე არ გადაქცეულა. საქმის წარმოებაში, მეცნიერებასა და ლიტერატურაში გაბატონებული იყო არაბული და განსაკუთრებით *ფარსის* ენა. ამავე დროს, აზერბაიჯანის მოსახლეობის მცირე ჯგუფები, რომლებიც ძნელად მისადგომ ადგილებში, მთებში ცხოვრობდნენ, ან ინარჩუნებდნენ თავიანთ თავდაპირველ ენებს, ან ნაკლებად განიცდიდნენ ახალი, უცხო ენების ზეგავლენას. უფრო მეტი, საშრეთ აზერბაიჯანის ზოგიერთ სოფელში დღესაც ლაპარაკობენ აზერული ენაზე.

ერთი სიტყვით, XI-XIII საუკუნეებისთვის, სხვადასხვა ტომთა შერწყმის შედეგად, ერთიანი აზერბაიჯანული საერთო-სახალხო სასაუბრო ენის ჩამოყალიბების გზით, დასრულდა აზერბაიჯანელი ხალხის ფორმირების ძრავალსაუკუნოვანი პროცესი.

IV. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა შორის, რომელთა შესახებ წყაროებს შემოუნახავთ ცნობები, უძველესები არიან კიმირიელები. სამწუხაროდ, მათ შესახებაც ცნობები მეტად მწირია და მხოლოდ ჰეროდოტეს მონათხრობით, ასურული ლურსმული წარწერების მონაცემებით და არქეოლოგიური მასალით ამოიწურება. ცნობილია, რომ უძველეს დროს, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. მე-8 საუკუნემდე ისინი მოსახლეობდნენ შავიზღვიპირე-

თის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ჰეროდოტეს (ძვ.წ V ს-ის) ცნობით, კიმერიელები მათ მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან გამოდევნეს მომთაბარე სკვითებმა, რომლებიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აზიიდან შეიჭრნენ ძვ.წ. VIII საუკუნეში. შემორჩენილი ან ძველ წერილობით წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმიკური მასალის და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ძეგლების მიხედვით, აკეთებენ დასკვნას, რომ კიმერიელთა დასახლების ძირითადი ტერიტორიები იყო ყირიმი და ყუბანისპირეთი.

იმავე ჰეროდოტეს ცნობით, სკვითების დაწოლის შედეგად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან გამოდევნილი კიმერიელები, ჩრდილოეთ კავკასიის გავლით საქართველოსკენ დაიძრნენ შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე და დაბანაკდნენ იმ ადგილებში, სადაც მდებარეობდა ქალაქი სინოპი. ამ ცნობას ადასტურებენ ასურული ლურსმული წარწერები, რომელთა მიხედვით კიმერიელები გამოჩნდნენ წინა აზიაში ძვ.წ VIII-VII საუკუნეებში. აქ მათ საფუძვლიანად შეარყიეს იმდროინდელი ძველი აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფოები ასურეთი და ურარტუ და როგორც ჩანს, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ ეთნიკურ პროცესში — ბოლოს და ბოლოს გათქვეფნენ ძირძველ მოსახლეობაში, ისე რომ არათუ დღეისათვის, არამედ 2 ათასი წლის წინა დროისთვის იქ მათი კვალიც არ დარჩა.

საფიქრებელია, რომ კიმერიელები მთლიანად არ გადასახლებულან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან წინა აზიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ მათი ტოპონიმიკა ასე მტკიცედ არ დაფიქსირდებოდა, ისე რომ მათი რაღაც ნაწილი ადგილზეც დარჩა და გარკვეული მონაწილეობა მიიღო აქ მიმდინარე ეთნიკურ პროცესებში.

საისტორიო წყაროების ერთობლივი დამოწმებით, ძვ.წ VIII საუკუნეში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძირითად მოსახლე-

ობას შეადგენდნენ სკვითები. მაინ დასახლების ადმოსავლეთის საზღვარი გადიოდა დონზე (ანტიკური აეტორების ტანაისზე), რომლის იქით, კავკასიისპირეთში მოსახლეობდნენ არასკვითური ტომები — *მეოტები, სინდები, ტორეტები, კერკეტები* და სხვა. თუმცა, კავკასიის მთისპირეთში სკვითებიც უთუოდ შეჭრილან, რადგან იმეცე პერიოდოტეს ცნობით, მათ კავკასიის ქედისთვის შემოუვლიათ ადმოსავლეთის გასავლელით, დარუბანდის გზით და ასე გადასულან ამიერკავკასიაში.

დაახლოებით ძ.წ. VII საუკუნიდან III საუკუნემდე ჩრდილოეთ კავკასიის ძირეული მოსახლეობის სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობა, ავრეთვე კულტურა ყალიბდებოდა კავკასიის მთისპირეთის სტეპებში და ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილის მთისპირეთში — ყუბანის გადადმა, მდინარეების ბელაიას და ლაბას აუზში. ამ დროს სკვითური კულტურა რომ ითვისა აქ მოსახლე არასკვითურმა ტომებმა, ამის მაჩვენებელია ჩრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლები სეშიბრატნოესა და ყარაგოდეუაშხიდან, რომელთა მიკუთვნება ადგილობრივ სინდურ-მეოტურ ტომებთან ეჭვს არ იწვევს

შეიძლება ითქვას, რომ კავკაასიის მთისწინა სტეპები და განსაკუთრებით ყუბანისპირეთი, სკვითურ პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით თითქმის არ განირჩეოდა დონის დასაელეთით მდებარე სკვითური რაიონებისგან. ყუბანისპირა სკვითების ყორღანები ადასტურებენ იმავე მეურნეობის ტიპსა და საზოგადოებრივ წყობას, რასაც დნეპრისპირეთის ძოძთაბარე სკვითებისა.

ამასთანავე, კავკასიის მთისპირეთის სკვითურ ყორღანებს ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებებისა. კერძოდ, ე.წ. „მეფეთა“ ყორღანები, ჩვეულებრივ გამოირჩევიან ცხენების დიდი რაოდენობით დამარხვით. მაგ. ერთ-ერთ ყორღანში აულ

ულსკოისთან 400-ზე მეტი ცხენის ჩონჩხი იქნა ნაპოვნი. აქასთანავე, ყუბანისპირეთის ძ.წ.VI-IV საუკუნეებში ძველი „სამეფო“ ყორღანები გამოირჩევიან უფრო მდიდრული, ძვირფასი დაკრძალვის წესებით. როგორც ჩანს, ეს იმით აიხსნება, რომ ყუბანისპირეთი, ისევე როგორც მთელი კავკასიის მთისპირეთი, ჩართული იყო ძველი მსოფლიოს კულტურულ ცენტრებთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით ამიერკავკასიასთან და წინა აზიასთან ბევრად უფრო ადრე, ვიდრე დნეპრისპირეთი. ამიტომაც ამ რაიონების სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება თავიდანვე უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე დონის დასავლეთით მდებარე ოლქებისა.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის შავიზღვისპირა ტომებთან ისტორიულად მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ აქ არსებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიები. ამიტომაცაა, რომ ამ ტომების შესახებ ცნობების ძირითად წყაროდ სწორედ ბერძნული წერილობითი ძეგლები წარმოადგენენ.

როგორც ძველი მსოფლიოს ისტორიიდანაა ცნობილი, ძ.წ. VII საუკუნიდან ბერძნები იწყებენ საძრეთის, ხოლო მოგვიანებით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციას. განსაკუთრებით მჭიდროდ ბერძნული კოლონიები განლაგებული იყო ქერჩის სრუტის ორივე მხარეს, რომელსაც კიმერიის ბოსფორს ეძახდნენ. აქ იყო სწორედ ისეთი მსხვილი და მნიშვნელოვანი დასახლებანი ბერძენი მოახალშენებისა, როგორებიცაა: *ფანაგორია, კორიკონდაპა, პერმისანი, გორგიპია (ანაპა)* და სხვა. მათვე ეკუთვნოდა *ტანაისი*, რომელიც მდინარე დონის დელტაში მდებარეობდა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ბერძნულ კოლონიებს შორის იყო პანტიკაპეი (დღევანდელი ქერჩის ადგილას), მისი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანდა ბოსფორის სრუტის ორივე

სანაპირო და იგი გადაიქცა ე.წ. ბოსფორის სამეფოს დედაქალაქად.

ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულისთვის ამ სახელმწიფოს კავკასიური ნაწილი მოიცავდა მთელს ტამანის ნახევარკუნძულს, ყუბანის შესართავს და ზღვის სანაპირო ზოლს დღევანდელ ნოვოროსიისკამდე.

ცხადია, ასეთი ძლიერი და მაღალგანვითარებული მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობამ ძლიერი გავლენა მოახდინა ადგილობრივი ტომების ცხოვრებასა და განვითარებაზე. ერთ-ერთი ასეთი იყო *სინდების* ტომი. ძვ.წ. VI საუკუნეში სინდები უკვე მოისწრაფოდნენ სამეფოს საქალაქო ცენტრისკენ და ექვემდებარებოდნენ ნახევრადელინიზირებულ დინასტიებს. ძვ.წ. IV საუკუნეში სინდები, ისევე როგორც ყუბანისპირეთის სხვა ტომები, ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, ხოლო მათი მმართველები ბოსფორის სამეფოს დინასტიას დაექვემდებარნენ.

ბოსფორის სამეფომ, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ კავკასიურ ტომებთან, როგორც ყაჭრობით, ისე კულტურით, განსაკუთრებით სიძლიერეს მიაღწია ძვ.წ. IV-III საუკუნეების პირველ ნახევარში. მაკრამ შემდეგ დაიწყო მისი თანდათანობით დასუსტება, საბერძნეთის დასუსტებასა და საყაჭრო მნიშვნელობის დაკარგვასთან ერთად. ძვ.წ. პირველ საუკუნეში ბოსფორის სამეფო რომის იმპერიის ვასალად გადაიქცა, ხოლო ჩვ.წ. IV საუკუნეში ჰუნების შემოსევების შედეგად თავის არსებობა შეწყვიტა.

ბოსფორის სამეფო უფრო ბერძნულ-ბარბაროსული სახელმწიფოს წარმოადგენდა. რადგან ადგილობრივი ტომები — მეოტები, სკვითები, სარმატები, ალანები მისი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ და მისი კულტურის ჩამოყალიბებაშიც დიდ როლს თამაშობდნენ ისევე, როგორც

ოვით ბოსფორის ბერძნები კულტურული ზეგავლენას ახდენდნენ მათზე.

ძველმა ბერძენმა და რომაელმა ავტორებმა შემოგვინახეს მნიშვნელოვანი ცნობები ძ.წ. VI — ჩვ.წ III საუკუნეების ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ტომების შესახებ. ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში ისინი მიუთითებენ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტომის მოსახლეობის შესახებ, რომელთა ნაწილი — *ხანდები, ფსეხები, ფატები, დოსხები* და ყუბანისპირეთის ზოგიერთი სხვა ტომი ცნობილი იყო *„მეოტების“* კრებითი სახელით. ამ ტომთა მცირე ნაწილი — *ზიქები, აქეები, ტორეტები, კერკეტები* და სხვა, მათ მიერ ცალკე ხალხებად განიხილებოდა.

ყუბანისპირა დაბლობისა და დღევანდელი კრასნოდარის მხარის ზღვისპირა ტერიტორიების ტომების და ამ ადგილების გეოგრაფიული სახელები იმის მაჩვენებელია, რომ უმრავლესობა ამ მეოტური და არამეოტური ტომებისა ადიღელთა, ე.ი. ყაბარდოელების, ჩერქეზებისა და ადიღეელების წინაპრები იყვნენ. იმავე ანტიკურ ავტორთა მოსაცემებით, ეს ტომები შეტეველებდნენ არა მარტო ადიღურ, ან ორ-ხან აფსარ-ადიღურ ენაზე, არამედ სხვადასხვა ენებზე. ამდენად, იმ დროის ჩრდილო-დასავლეთი კავკასიისთვის, როგორც ჩანს, დამახასიათებელი იყო ისეთივე ენობრივი სიჭრელე, როგორც მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. დაღესტნელ ტომებში დასტურდებოდა მე-19 საუკუნეში და დასტურდება დღესაც. ამასთანავე, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტომთა ენები ენათესაკუებოდნენ ერთმანეთს. ყოველივე აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი ერის დასაწყისში ამ ტომების კონსოლიდაცია ჯერ კიდევ საწყის სტადიაზე იმყოფებოდა და ადიღე ხალხი ჯერაც არ იყო ჩამოყალიბებული.

იმავე ანტიკურ ავტორთა ცნობებით, კავკასიის მოიანეთის

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობდნენ ასევე სხვადასხვა წვრილ-წვრილი ტომები. თუმცა, მათი ეს ცნობები ბევრად უფრო მწირია ჩრდილო-დასავლეთით მოსახლე ტომებზე ცნობებთან შედარებით. სტრაბონი, პტოლემაიოსი და პლინიუს უფროსი — ჩვ.წ. I და II საუკუნეების ავტორები იცნობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთით *ლეგეებს* (ლაკებს, ანუ ლეკებს) და *დიდურებს* (დიდოელებს). ეს უკანასკნელები მათ მიერ დასახელებულია *თუშების* (თუსების) გვერდით, ე.ი. იქ სადაც ისინი ცხოვრობენ დაახლოებით დღესაც.

ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მეოტების აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ სკვითების მონათესავე სარმატების ირანულენოვანი ტომები *ხირაკები, აორსები* და სხვ. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მათ შეუერთდნენ ვოლგის გადაღმიდან მოსული *ალანები.* ენობრივად ისინიც ირანულენოვან ტომებს განეკუთვნებოდნენ და ამ თვალსაზრისით ენათესავებოდნენ სარმატებს და სკვითებს. ჩვ.წ.II-III საუკუნეებში ეს ალანები გადაიქცნენ ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალად ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში.

განხილული ტერიტორიების აბორიგენი მოსახლეობა — მეოტური ტომები, კერკეტები, ტორეტები, აქეები, ლეგები, დიდურები და სხვ. ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ და უპირატესად სახვნელ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. დადგენილია, რომ მეოტები, ამასთანავე მეთევზეობითაც იყვნენ დაკავებულნი. რაც შეეხება სარმატებისა და ალანების მნიშვნელოვან ნაწილს, ისინი მომთაბარე ტიპის მესაქონლეობას მისდევდნენ.

უეჭველია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა ანტიკურ ეპოქაში განვითარების არათანაბარ დონეზე იმყოფებოდა.

ძაგ. სინდები, რომლებიც ბოსფორის სამეფოს ქალაქებთან ახლოს მოსახლეობდნენ, სოციალური განვითარებით უფრო ძალლა იდგნენ, ვიდრე სხვა მეოტები და კიდევ უფრო ძალლა ვიდრე მომთაბარე სირაკები ან აორსები და ცხადია, ბევრად უფრო ძალლა, ვიდრე კავკასიის მთიელი ტომები.

1. ყაბარდოელები და ჩერქეზები

ისინი მოსახლეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, მდინარეების ძალკას, ბაქსანის და თერგის გაყოლებაზე. ყაბარდოელთა დიდი ნაწილი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გადასახლდა ყაბარდოდან მდინარე ყუბანის ზემო წელში და ისინი ამჟამად შეადგენენ ჩერქეზ ხალხს. ძირითადი მასა ჩერქეზებისა განსახლებულია მდინარეების დიდი და პატარა ზელენჩუკის გაყოლებაზე ყარაჩაევო-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში.

წარსულში ტერმინი *„ჩერქეზი“* გამოიყენებოდა ფართო მნიშვნელობით და აღნიშნავდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ყველა ადიღეს — ე.ი. თანამედროვე ადიღეელებს, ყაბარდოელებს და ჩერქეზებს. ყველა მათგანის თვითსახელწოდებაა *ადიღე*. ამასთანავე ყაბარდოელები თავის თავს *კაბარდეასაც* უწოდებენ.

ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ადიღე ხალხი — ყაბარდოელები, ჩერქეზები და ადიღეელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული საერთო წარმოშობით, ენითა და სიახლოვით და ძირითად კულტურულ ელემენტთა ერთიანობით. მაგრამ განსაკუთრებით დიდია ეს სიახლოვე ყაბარდოელებსა და ჩერქეზებს შორის.

თავდაპირველად, XIII-XIV საუკუნეებში ყაბარდოელთა

წინაპრები, რომლებიც ადიღე ტომების საერთო მასიდან გამოიყვნენ, ყუბანისპირეთიდან გადასახლდნენ მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე და შექმნეს ე.წ. *დიდი ყაბარდო.* XV-XVI საუკუნეებში ადგილი პქონდა ყაბარდოელთა ნაწილის გადასახლებას აღმოსავლეთით მდ.თერგის მარცხენა სანაპიროდან მარჯვენაზე და ასე შეიქმნა ე.წ. *მცირე ყაბარდო.*

ყაბარდული, ანუ ყაბარდოელ-ჩერქეზული ენა ეკუთვნის კავკასიური ენების ადიღეურ-აფხაზურ შტოს. მას რამდენიმე დიალექტი მოეთვება: *ბაქსანური* (დიდი ყაბარდოს დიალექტი), *ბესლინური, ყუბანური* და მთელი რიგი კოლოკავების — *მალკინური, მცირეყაბარდოელი, მოზდოკური. ყაბარდოელებისა* და ჩერქეზების თანამედროვე სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ბაქსანური დიალექტი.

2. ადიღეელები

ადიღეელები მათ მოსათესავე ყაბარდოელებთან და ჩერქეზებთან ერთად, რომლებიც ასევე ადიღეს უწოდებენ თავიანთ თავს, ეკუთვნიან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ადიღეს ჯგუფს, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული მიზეზების გამო ადიღეელები გამოცალკევდნენ და ამჟამად ისინი ცალკე ხალხს შეადგენენ. ადიღეს ტერიტორიაზე მოედინება ყუბანი და მისი შენაკადები — მდინარეები ბელაია, ფშიში, ფსეკუპსი, აფინსი.

ადიღეელები, ისევე როგორც ყაბარდოელები და ჩერქეზები არიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენი მოსახლეობის ადიღეელების შთამომავლები. ადიღეელთა ძირითადი მასიდან ყაბარდოელების გამოყოფის შემდეგ, რომლებთანაც ისინი ერთად მოსახლეობდნენ მდ. ყუბანის აუზსა და შავი ზღვის

სანაპირეებზე, იქ დარჩნენ *ნატუხების, შაპსუღების, აბაძეხების, ბჟედუღების, თემირგოელების* და სხვათა ტომები. შემდეგში სწორედ მათგან ჩამოყალიბდა ადიღე ხალხი.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ადიღეელები ჯერ კიდევ დაყოფილნი იყვნენ პატარ-პატარა ტომებად. ზღვის სანაპირო ეუბანის ქვეშო დინებიდან მდ. ჯუბღიმდე, ანუ ფშატამდე ეკავათ ნატუხებს. ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომი შაპსუღებისა კი მდ.შახეს ანუ მცირე შაპსუღის აუზრეთით და კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე და ა.შ. კავკასიის ომის (XIX ს-ის II ნახ.) შემდეგ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის ხალხების დიდი ნაწილი ძალით დაიმორჩილა და შეიყვანა იმპერიის შემადგენლობაში, ადიღეელთა დიდი ნაწილი გადა-ასახლა თურქეთში. ჩრდილო კავკასიაში დარჩენილმა ნაწილმა თავი მოიყარა მათი წინანდელი განსახლების შედარებით მცირე ტერიტორიაზე — მდ. ეუბანის შუა დინებასა და მდ. ლაბის დაბლობში. ადიღეელთა მცირე ნაწილი დარჩა მთებში — შავიზღვისპირეთის რაიონებში, ტუაფსეს მიდამოებში.

ადიღეური ენა ეკუთვნის კავკასიური ენების ადიღეურ-აფხაზურ შტოს და ყველაზე ახლოსაა ყაბარდოულთან. ერთიან ლიტერატურულ ადიღეურ ენასთან ერთად შემორჩენილია ცალკეული დიალექტები, რომლებიც წარსულში გაცილებით მეტი იყო. ამჟამად ძირითად დიალექტებს წარმოადგენენ *შაპსუღური, ბჟედუღური, თემირგოელი, აბაზეხური.* გარდა ჩვეულებრივი სალაპარაკო ენისა წარსულში გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა ჟარგონი. მაგ. სხვადასხვა შემთხვევებში საქორწილების მიხედვით, ფეოდალურ-საგვარეულოთა წარჩინებული პირები ერთმანეთში საუბრობდნენ თავისებურ, მხოლოდ

ძათოვის გასაგებ ყარგონზე. დღეს ადიღეურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს თემირლოული დიალექტი.

3. აბაზები

აბაზების რიცხვი 20000 შეადგენს. ისინი მოსახლეობენ ძირითადად ყარაჩაი—ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში. მათი თვითსახელწოდებაა აბაზა, ასევე ეძახიან მათ თავიანთი შეზობელი ხალხები, აფხაზების გამოკლებით, რომლებიც მათ *აშვას* სახელით მოიხსენიებენ. ისინი ცხოვრობენ 16 სოფელში, რომელთა სახელები ძველადვე თავადთა საგვარეულოების მიხედვით იყო შერქმეული. 1862-1864 წ.წ აბაზების დიდი ნაწილი გადასახლდა თურქეთში, სადაც ისინი შეერიენენ აფხაზეთიდან და ადიღეადან გადმოსახლებულებს. აბაზებს ანუ აბაზინებს უკავიათ ტერიტორიები მდინარეების დიდი და მცირე ზელენჩუკის, ყუბანისა და ყუმის ზემო წელზე.

თანამედროვე აბაზები შემკვიდრეები და შთამომავლები არიან ჩრდილოეთ კავკასიის იმ სხვადასხვა ენოვანი მოსახლეობისა, რომელიც ცხოვრობდა შავიზღვისპირეთის სანაპიროზე თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ და ნაწილობრივ მის მოძიჯნაგე ადგილებში ჩვ.წ. პირველ ათასწლეულში, როდესაც მოხდა მეზობლად მცხოვრები ტომების *სანიგების, აბაზგების* და *აფშილების* შერწყმა ერთ აფხაზ ხალხად. ამ პროცესში ჩაიყოლა აბაზების წინაპრებიც. მაგრამ აფხაზებთან არც თუ ისე მტკიცე კავშირის დაჭერამ აბაზებს საშუალება მისცა მილიანად არ გათქვეფილიყვნენ აფხაზებში. XIV-XVI სს აბაზების წინაპრები მათი თავდაპირველი საცხოვრისიდან შავი ზღვის სანაპიროებზე, დაახლოებით ტუაფსესა და მდ. ბზიფს

შორის არსებული ტერიტორიიდან გადასახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე ისინი ორ მთავარ ტომობრივ ჯგუფად იყოფოდნენ. *ტაპანტები* და *შკარაულები*, ხოლო თითოეული შედგებოდა წვრილ-წვრილი ტომებისგან.

აბაზური ენა ეკუთვნის კავკასიური ენების აფხაზურ-ადიღეურ შტოს. იგი ახლოსაა აფხაზურთან, მაგრამ ამავე დროს შეიცავს ყაბარდოული ენის მრავალ ელემენტს. ფონეტიკური თვალსაზრისით იგი ერთ-ერთი ყველაზე რთული ენათაგანია. იგი იყოფა ორ დიალექტად: *ტაპანტა* და *შკარაული*.

4. ყარაჩაელები

ყარაჩაელთა რიცხვი 81 ათასს აღწევს. მათი ძირითადი მასა ცხოვრობს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში. თავიანთ თავს ისინი ყარაჩაელებს ეძახიან.

ყარაჩაელების ისტორია სუსტად არის შესწავლილი. არ არსებობს მეცნიერებაში ერთიანი თვალსაზრისი მათი ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის მომენტების შესახებ. სხვადასხვა მოსაზრებები მათ წარმოშობას უკავშირებს ჰუნებს, ბოლღარებს, ხაზარებს, ყივჩაღებს. აქედან ყველაზე დამაჯერებელი ჩანს თითქოს მათი დაკავშირება ყივჩაღებთან, ძველი რუსული წყაროების *პოლოვცებთან*. ყივჩაღების ენასა და წესჩვეულებებში დასტურდება რიგი მსგავსებებისა თანამედროვე ყარაჩაელებთან და ბალყარებთან. არ არის გამორიცხული, რომ ყარაჩაელების ეთნოგენეზში მონაწილეობა მიეღოს სხვა ზემოთდასახელებულ თურქულენოვან ტომებსაც. როგორც ჩანს, ამ საქმეში დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული ალანურ ელემენტსაც, რადგან ყარაჩაელები და ბალყარელები ყალობ-

ლებოდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მონღოლთა შემოსვლებამდე ალანებს ეკავათ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მეგრელები ყარაჩაელებს ალანებს უწოდებენ.

5. ბალყარელები

ბალყარელების რაოდენობა 42 ათასს შეადგენს. მათი თვითსახელწოდებაა *თაულუ* (ე.ი. მთიელები). ისინი მოსახლეობენ კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ ფერდობებზე — ბაქსანის, ჩეგემის, ჩერეკის, ხულაამო-ბეზენგის ხეობებში და ასევე ყაბარდო-ბალყარეთის ზოგიერთ ადგილებში.

ბალყარელების ისტორიული თავგადასავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ მონათესავე ყარაჩაელებთან. წარსულში ისინი ერთიან, ყარაჩაელ-ბალყარელ ხალხს შეადგენდნენ. პირველი წერილობითი ცნობა ბალყარელების შესახებ მოიპოვება ქართულ ენაზე, XIV-XV საუკუნით დათარიღებულ (ე.თაყაიშვილი) ერთ მხედრულ წარწერაში საწინამძღვრო ოქროს ჯვრის ზურგზე. ჯვარი დაცული ყოფილა ცხავატის ღმრთისმშობლის ეკლესიაში, სადაც იგი XX საუკუნის დამდეგს (1915 წლამდე) აღუწერია ე.თაყაიშვილს. ბალყარეთის ამ წარწერაში ბასიანი ეწოდება. მისი მრავალმხრივ საინტერესო ტექსტი ასეთია: „*ქ. ძაცხვარი ცხავატისა. ქვენიფენეველს, რიზია ერისთავს შემოწირავს ორი საკომლი მამული ზენებანს, ძამული მოითა და ბარითა, ცხავატის ყოველად წმიდისათვის. ბასიანში დაეტევოდა და შენის საქონლითა თავი დაყიხსენ. არა მებატონემ არა მოშალოს*“. (**ИКОИМАО, IV,1915, с. 106**)

როგორც ტექსტიდან ჩანს, ქვენიფენეველი მებატონე რიზია

ერისთავი ბასიანში ანუ ბალყარეთში ტყვედ ჩაყარდნილა და თავი დაუხსნია ცხრავატის ომრეთისმშობლის ტაძრისთვის შეწირული საქონლით, როგორც ჩანს, ოქრო-ვერცხლით და ფულით. ამის სანაცვლოდ ტყვეობიდან თავის დახსნის შემდეგ შას ამაეე ეკლესიისთვის შეუწირავს ორი საკომლი მამული სოფელ ზენუბანს.

წარწერის მიხედვით ისიც ჩანს, რომ ბალყარელები ამ ტერიტორიაზე, რომელზედაც ამჟამად სახლობენ, XIV საუკუნიდან მაინც იყვნენ.

ბალყარული (ანუ ყარაჩაულ-ბალყარული) ენა განკუთვნება თურქული ენების ყიფჩაღურ ჯგუფს. დამწერლობა ამ ენაზე შეიქმნა მხოლოდ 1924 წელს (შუა საუკუნეებში აქ, როგორც ჩანს გავრცელებული იყო ქართული დამწერლობა და ქრისტიანული რელიგია, დანერგილი ქართული ძლევამოსილი ფეოდალური სახელმწიფოს მიერ), თავდაპირველად ლათინური, ხოლო შემდეგ რუსული დამწერლობის საფუძველზე. ბალყარული სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს *ბაღჩისარაის* დიალექტი.

6. ოსები

ოსების რიცხვი 1959 წლის აღწერით 410 ათასს შეადგენდა. აქედან 40 ათასამდე ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც ამჟამად მათი რაოდენობა ამაზე გაცილებით ნაკლებია (მათი დიდი ნაწილი აქ მიმდინარე ეთნოკონფლიქტების შედეგად საქართველოს ხელისუფლების მიერ ავტონომიური ოლქის გაუქმების შემდეგ გადასახლდა თავის სამშობლოში — კაუკასიის გადაღმა ოსეთში).

ოსები მოსახლეობენ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ჩრდილო კალთებზე. გვიანი შუასაუკუნეებიდან მათი ნაწილი ჩრდილოეთით მოსახლე სხვადასხვა ხალხების დაწოლის შედეგად დასახლდა სამხრეთ ფერდობზეც, საქართველოს ტერიტორიაზე. ოსების თვითსახელწოდებაა *ირონი*, ხოლო თავიანთ ქვეყანას *ირისტონს* და *ირ*-ს ეძახიან. აქასთანაყვე, დიგორის ხეობაში მოსახლე ოსები თავის თავს *დიგორონგს* უწოდებენ. ამ თვითსახელწოდებებში აისახა ოსი ხალხის ადრეული ტომობრივი დანაწილება.

ოსების, როგორც ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე შრავალრიცხოვანი ხალხის წარმოშობის, მათი ეთნოგენეზის და ეთნიკური ისტორიის საკითხს, მეცნიერებაში ადრევე მიექცა ყურადღება. ამის გამო, იგი ერთ-ერთი ყველაზე კარგად გამოკვლეული საკითხია ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგენეტიკურ საკითხთან შედარებით.

მეცნიერებმა ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში შეიმუშავეს გარკვეული თვალსაზრისი ოსების წარმოშობის და ეთნიკური ფორმირების შესახებ. მათი უმრავლესობა ოსების ირანული წარმოშობის თვალსაზრისის მომხრეა. პირველად ეს თეორია *ი. კლაპროტმა* წამოაყენა. მას მხარი *ა. შეგრენმა* დაუჭირა, ხოლო თანმიმდევრული და დამაჯერებელი დასაბუთება ამ თეორიამ მოიპოვა *ვს. მილერის* შრომებში. ვს.მილერი თვლიდა, რომ ოსები ეთნოგენეტიკურად დაკავშირებული არიან სკვითებთან, სარმატებთან და განსაკუთრებით ალანებთან, რომლებიც ირანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან. ამ თეორიის შემდგომი გაღრმავებისა და დამუშავების შედეგად, აშკარად მიჩნეულია, რომ თანამედროვე ოსების წინაპრებად უნდა ჩაითვალოს ალანების ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა ჩრდილოეთ

კავკასიის ცენტრალურ რაიონებში და შეერწყა ძველ ადგილობრივ მოსახლეობას და გადასცა მას თავისი ენა.

შემონახულია ალანურ-ოსური შეტყველების შედარებით ადრინდელი წერილობითი ძეგლები. ერთი მათგანია ე.წ. ზელენჩუკის XI ს-ის წარწერა, ქრისტიანული წერილობითი ძეგლი ჯვრის გამოსახულებით. იგი შესრულებულია ოსურ ენაზე ბერძნული ასოებით.

XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევების და შემდგომში მონღოლ-თათართა გამუდმებული თავდასხმებისა და დაპყრობების შედეგად, მთლიანად მოიშალა ოსეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის კვალი, რომელიც აქ საქართველოს მიერ იყო დანერგილი. შეიკვეცა აგრეთვე მათი ნაეოფიერი მიწები კავკასიის დაბლობში და ისინი კავკასიის ქედის სიღრმეებში გადასახლდნენ, რომელთა ნაწილმაც ამიერკავკასიაშიც ჩამოაღწია.

ოსურ ენას მიაკუთვნებენ ენათა ინდოევროპული ოჯახის ირანულ შტოს, უფრო ზუსტად — ირანული ენების ჩრდილოაღმოსავლურ ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე, ხორეზმული, სოგდური და საკსური ენები, ასევე სკვითებისა და სარმატების ენები. ოსურ ენაზე, მის ლექსიკაზე, თანხმოვანი ბგერების სისტემაზე გარკვეული გავლენა მოუხდენია კავკასიურ, მათ შორის ქართველურ ენებს, საუკუნეთა განმავლობაში მასთან ურთიერთობის შედეგად. თანამედროვე ოსური ენა იყოფა ორ მთავარ დიალექტად: *ირონის* (აღმოსავლეთის) და *დიგორის* (დასავლეთის). ენათმეცნიერები თვლიან, რომ დიგორის დიალექტი უფრო არქაულია. ოსურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ირონის დიალექტი, რომელზედაც

მეტყველებს ოსების აბსოლუტური უმრავლესობა.

7. ჩეჩნები

ჩეჩნები ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია. მათი რიცხვი 418 ათასს შეადგენს, ხოლო შუა აზიიდან 40-იან წლებში ჩეჩნების რეპატრიაციის შემდეგ 1950-იან წლებში, მათი რაოდენობა აქ 900 ათასს, 1 მილიონამდე აღწევს. მათი უმრავლესობა ცხოვრობს თანამედროვე ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, ხოლო ნაწილი დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ხასავიურტის რაიონში. ჩეჩნები თავის თავს *ნოხჩოს* ეძახიან, ხოლო თავიანთ რესპუბლიკას — *იჩკერიას*, მთიანი ჩეჩნეთის ცენტრალურ ნაწილში მოსახლე იჩკერიელთა სახელის მიხედვით.

ჩეჩნების ეთნოგენეზი მთლიანად გარკვეული არაა. არქეოლოგიური და ტოპონიმიკური მასალის, აგრეთვე, შუა საუკუნეების ავტორთა ცნობებით, ჩეჩნები ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენი მოსახლეობაა. ამასვე მხარს უჭერს ხალხური თქმულება. ჩეჩნები *ნახჩამატთან* სახელწოდებით იხსენიებიან ჯერ კიდევ VII საუკუნის ხომხურ გეოგრაფიულ თხზულებაში „არშხარაცუიც“.

XV-XVI საუკუნეებამდე ჩეჩნები ძირითადად მთებში ცხოვრობდნენ და იყოფოდნენ ცალკეულ ტერიტორიულ ჯგუფებად, რომელთა სახელებიც უმთავრესად იმ მთებისა და მდინარეების სახელებიდან წარმოსდგებოდა, სადაც ან რომელთა ნაპირებზეც ისინი იყვნენ განსახლებულნი. ასე, მაგალითად, მდ. მაჩიკის ორივე ნაპირზე მოსახლეობდნენ *მაჩიკელები*, მდინარეების იარიფსუს, იამანსუს და აკშატის ნაპირებზე *აუხები*, ხოლო მთიანი ჩეჩნეთის ცენტრალურ ზოლში იჩკერიელები და

ა.შ. ხალხური გადმოცემების მიხედვით პირველი ჩეჩნური დასახლებანი დაბლობ ადგილებში გაჩნდა დაახლოებით XIV საუკუნის დასასრულიდან და ისინი ჩამოსახლდნენ აკეების მთებიდან. ასევე ხდებოდა შემდგომი სხვადასხვა საგვარეულოების გადმოსახლება და თერგისპირა დაბლობი ადგილების ათვისება და იქ დასახლება. 1587 წელს აქ მოვლენილი რუსი ელჩები აღნიშნავდნენ მდ. სუნჯისა და თერგის მიდამოებში ჩეჩენთა ძრავალრიცხოვანი დასახლებების შესახებ. ასევე. 1760 წელს ამ ადგილებში დაარსებულ იქნა ჩეჩნური დასახლება სტარო-იურტი და ა.შ. ამის პარალელურად და თითქმის თანადროულად ამ ადგილებში სახლდებოდნენ კაზაკები. ჩეჩნებსა და მათ შორის იმთავითვე კეთილმეზობლური ურთიერთობები დამყარდა.

კავკასიის დაპყრობის შემდეგ რუსეთმა ჩეჩნეთი ჩართო თერგის ადმინისტრაციულ ოლქში. 1922 წელს მათ მიიღეს ავტონომია და ცალკე ავტონომიად გამოიყვნენ თერგის რესპუბლიკაში. 1934 წელს ჩეჩნები და ინგუშები შეაერთეს ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიურ ოლქად. ისინი კვლავ გაიყვნენ 1994 წელს.

ჩეჩნური ენა ეკუთვნის კავკასიური ენების ვეინახურ ჯგუფს, რომელშიც შედის, აგრეთვე ინგუშური და ბაცბური (წო�თუშური) ენები. ჩეჩნურის ძირითადი დიალექტებია: მთისა და ბარისა. ჩეჩნურ ლიტერატურულ ენას საფუძვლად ბარის დიალექტი უდევს.

8. ინგუშები

ინგუშების რაოდენობა 106 ათასს აღწევს. ისინი ცხოვრობენ კავკასიის ქედის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ ფერდო-

ბებ'ზე, აგრეთვე ბარში მდ.სუნჯას მიდამოებში.

ინგუშები მათთან ახლო ნათესაობაში მყოფ ჩეჩნებთან ერთად, კავკასიის ძირეულ მოსახლეობას წარმოადგენენ. ირკვევა, რომ ინგუშების უძველესი დასახლებები კავკასიის მთებში მდებარეობდა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ცალკეულ საგვარეულო-ტომობრივ ჯგუფებად. კერძოდ, ასეთ სა'ხოგადოებებს წარმოადგენდნენ *ჯერახის, ფეიის ანუ ქისტების, გალგის, ცორის, მეკხალის.* XVI-XVII საუკუნეებში ამ ჯგუფებმა ბარში დაიწყეს ჩამოსახლება. ერთ-ერთი პირველი ასეთი დასახლება იყო სოფელ ანგუში ან ინგუში, რომელიც თარის ველ'ზე მდებარეობდა. დღევანდელ სოფელ თარსკოეს ადგილას. ამ ინგუშიდან მოდის მთელი ხალხის სახელწოდებაც, რომელიც პირველად დაფიქსირდა ყაბარდოელებთან XVIII საუკუნე'ში. აქედანვე გარეცელდა მათი სახელი სხვა ხალხებ'ზეც.

შუა საუკუნეებ'ში ინგუშები ქრისტიანული კულტურის ხალხი იყო. აქ მათ მეზობელ ჩეჩნეთ'ში და აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებ'ში ქრისტიანობა საქართველოს გზით გავრცელდა. XII-XIII ს.ს ეს ქვეყნები, იქ დასახლებული ხალხები, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ვაელენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს გავლენა მარტო კულტურის სფეროზე არ ყრცელდებოდა. ინგუშებისა და სხვა მათი მე'ზობელი ჩრდილო კავკასიელი ხალხების ტერიტორიები მოფენილია ქართული ეკლესიებით და კულეუტრის სხვა ძეგლებით.

ინგუშური ენა ვანეკუთვნება კავკასიური ენების ნახურ (ვეინახურ) შტოს. იგი განსაკუთრებით ახლოსაა ჩეჩნურთან. ამ ენებზე მოსაუბრეებს ერომანეთის ესმით.

9. ნოღაელები

ნოღაელების რაოდენობა შეადგენს 41 ათასს. მათი ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ნოღაის სტეპში დაღესტნისა და სტავროპოლის მხარის მეზობელ ტერიტორიებზე. ამასთანავე, მათი ერთი ნაწილი (10000 კაცი) მოსახლეობს ყარაჩაევო-ჩერქეზეთში, აგრეთვე მცირე ჯგუფები თურქეთსა და რუმინეთში.

მათი თვითსახელწოდება ნოღაი დაკავშირებულია ოქროს ურდოს (ერთ-ერთი ტექნიკის, ე.ი. ათი ათასისთვის, ანუ დუმანნოინის) ვინმე ნოღასთან, რომელიც XIII საუკუნეში ცხოვრობდა. თვითონ იგი ჩინგიზ-ხანის შვილის ჯუჩის გვარიდან იყო. ნოღაელთა წინაპრები არიან მონღოლი ტომები — *მანგიტები* და სხვები, რომლებიც ნოღას მიერ შექმნილი ულუსის (მონღოლური ადმინისტრაციული ერთეულის) შემადგენლობაში შედიოდნენ და შემდეგ შეერივნენ თურქულენოვან ყივჩაღებს (პოლოვცებს), რომელთა ენაც მიიღეს.

უკვე XIV საუკუნეში ნოღაის ურდოს მრავალრიცხოვანი ტომები მოშთაბარეობდნენ მდ. ვოლგის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების მიმართულებით. მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებზე. ოქროს ურდოსაგან გამოყოფილი ეს ნოღაის ურდო XVI საუკუნისათვის დაიშალა დიდ და მცირე ურდოებად. ისინი თავის მხრივ კიდევ უფრო პატარა ნაწილებად დაიყვნენ.

XVII საუკუნეში ციმბირიდან ვოლგისპირეთში შემოჭრილი ყალმუხების დაწოლის შედეგად დიდი ურდოს ნოღაელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოშთაბარეობისთვის გადაინაცვლა დასავლეთით და სამხრეთით. ხოლო XVII-XVIII საუკუნეებში ნოღაელები თავიანთი უზარმაზარი ჯოგებით მოშთაბარეობდ-

ნეს ვრცელ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილ-ოეთ შავიზღვისპირეთში, თვით მდინარე პრუტამდე.

1859-1860 წლებში კავკასიის ომთან და რუსეთის იმპერიის მიერ ნოღაელთა ტერიტორიების დაპყრობისა და შემოერთებასთან დაკავშირებით ნოღაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდა თურქეთში.

ნოღაელთა ენა განეკუთვნება თურქული ენების ჩრდილო-დასავლეთის ჯგუფის (ანუ ყიფჩაღურის) *ყიფჩაღურ-ნოღაურ* ქვეჯგუფს. იგი შედგება სამი დიალექტისაგან — *ყარანოღაური, ალიკულაკური* და *ყუბანური (აყნოღაური).* ამ ენების მიხედვით გამოიყოფა ნოღაელთა ძირითადი თანამედროვე ეთნოგრაფიული ჯგუფები.

V. დაღესტნის ხალხები

დაღესტნელი ხალხები მოსახლეობენ კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, კავკასიის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის შოებსა და ხეობებში, ხოლო ერთი ნაწილი კავკასიის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის უკიდურესი ნაწილის სამხრეთში. დაღესტნის ერთ-ერთ განსაცვიფრებელ თავისებურებას შეადგენს მისი ეთნიკური და აქედან გამომდინარე ენობრივი სიჭრელე და დაქუცმაცებულობა. დაღესტანში მოითვლიან 30-მდე ხალხებსა და ეთნიკურ ჯგუფებს საკუთარი, განსხვავებული ენით და 70-ზე მეტ დიალექტს. დაღესტნის ძირეული მოსახლეობა ენობრივი თვალსაზრისით ეკუთვნის კავკასიურ და ნაწილობრივ თურქულენოვან და ირანულენოვან ხალხს. ამის შესაბამისად დაღესტნის ხალხები იყოფიან დაღესტნური ჯგუფის

და თურქული ჯგუფის ხალხებად.

ყველა მათგანის ეთნოგენეზი, წარმომავლობა და თუნდაც ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხებიც კი არც არის ცნობილი და შესწავლილი, მაგრამ ზოგიერთი მათგანის შესახებ მეცნიერებაში გარკვეული მოსაზრებები მაინც არსებობს.

ერთ-ერთი ამათგანია ყუმუხები, რომლებიც შედარებით კომპაქტურად ცხოვრობენ დაღესტნის შვიდ რაიონში. 1959 წლის აღწერით მათი რაოდენობა 135 ათასს შეადგენდა. ყუმუხი ხალხის ჩამოყალიბება დაწყებულა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში. ამ ხალხის ეთნოგენეზში მთავარი როლი შეუსრულებია დაღესტნის ზეგანის აბორიგენ მოსახლეობას. ამასთანავე, ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიუღია მოსულ თურქულენოვან ყიფჩაღებს, რომელთაც ენა მიუღიათ ყუმუხებს. ამ მოსაზრების დამადასტურებლად, ჩვეულებრივ ეყრდნობიან ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემებს.

ავარები, დაღესტნის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია. ისინი დაღესტნის მთებში მოსახლეობენ. ავარების წარმომავლობის საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მათი წინაპრების თანამედროვე ტერიტორიაზე განსახლების შესახებ პირველი წერილობითი ცნობები ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისს განეკუთვნება. კერძოდ, რომაელ ისტორიკოსს პლინიუს უფროსს (ჩვ.წ.II ს) თავის თხზულებაში მოხსენებული ჰყავს დიდურების ან დიდოელთა ტომი, ხოლო პტოლემაიოსს (ჩვ.წ II ს.) საფვირები, ანუ შემდგომი დროის სავარები. ამ სახელს უკავშირებენ ავარების თანამედროვე სახელწოდებას. აკად. ვ.ბარტოლდის და ზოგიერთი სხვა მეცნიერის თვალსაზრისით, IX-X საუკუნეების არაბ ავტორებთან მოხსენებული

„სერირის სამეფო“ თანამედროვე ავარების ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო, რადგან სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მოგვიანო ხანებში შედარებით მსხვილი ფეოდალური გაერთიანება ავარიის სახანო, რომლის ადმინისტრაციული ცენტრები იყო თანმიმდევრობით ჯერ *ტანუსი*, ხოლო შემდეგ — *ხუნძახი*. მე-19 საუკუნის დასაწყისში ავარიის სახანო და მის შემადგენლობაში შემავალი ე.წ. „თავისუფალი საზოგადოებები“ შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

დარღელები რიცხობრივად დაღესტნის მეორე მოსახლეობაა. მათი რიცხვი 158 ათასს შეადგენს. ისინი დაღესტნის სამხრეთი ნაწილის მთებში არიან განსახლებულნი. მათ სოფლებს შორის ყველაზე ცნობილია და სახელგანთქმული ყუბანელები. არაბი ავტორები მათ აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს "ხირეხგერან", რაც სიტყვასიტყვით „მეაბჯრეს“ ნიშნავს და კარგად გამოხატავს ყუბანელთა იმთავითვე ცნობილ საქმიანობას, მჭედლობას და ოქრომჭედლობას. დაღესტნის ხალხების უმეტესი ნაწილის მსგავსად, დარღელებიც აბორიგენ მოსახლეობას განეკუთვნებიან. ყველაზე ადრეული წერილობითი ცნობები მათ შესახებ ჩ.წ.IX საუკუნიდან მოიპოვება. ესაა არაბი ავტორების თხუზულებასა და ცნობილ „დერბეტ-ნამე“-ში წარმოდგენილი მასალა დარღელების შესახებ. 1920 წლიდან დაღესტნის რუსეთთან საბოლოო შეერთების შემდეგ დარღელებიც იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ.

ლაკების რაოდენობა 64 ათასს შეადგენს. ადრე ისინი ცნობილნი იყვნენ ყაზიყუმუხების სახელწოდებით. მათი ძირითადი მასა ცხოვრობს სოფ. ყუმუხის გარშემო არსებულ დასახლებებში. ლაკები დაღესტნის ძირეულ მოსახლეობას

განეკუთვნებიან. ამჟამად ძნელია იმის გარკვევა, ეს „ლაკები“ ის „ლეგები“ არიან თუ არა, რომლებიც მოხსენებულია ანტიკურ ავტორებთან. ითვლება, რომ შეტია საფუძველი ლაკებად მივიჩნიოთ ის „გუმიკები“ (ყუმიხები), რომლებიც IX-X საუკუნეების არაბ ავტორებთან ბალაძორთან და მასუდთან არიან დასახელებულნი. მათი ცნობით, გუმიხები (ყუმიხები) ცხოვრობდნენ დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, რომელიც შემდეგში და ამჟამადაც ლაკებს უჭირავთ. 1820 წლიდან ლაკები შეეიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მათი ენა განეკუთვნება კავკასიური ენების დაღესტნურ შტოს და იყოფა ხუთ დიალექტად.

ლეკები დაღესტნის ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა. მათი რაოდენობა 223 ათასს შეადგენს. ისინი კომპაქტურად მოსახლეობენ დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ასევე აზერბაიჯანის ჩრდილოეთის შეზობელ ტერიტორიაზე. მათ მიერ დასახლებული ადგილები იყოფა მთისწინა და მთიან ტერიტორიებად. ისინი დაღესტნის ერთერთ ყველაზე ძირეულ, მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ. უძველეს ცნობებს მათ შესახებ ყველაზე ადრე კიდევ ანტიკურ ავტორებთან, რომლებიც მოიხსენიებენ აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრებ „ლეგებს“. IX-X საუკუნეების არაბ ავტორებთან დასახელებულია „ლაკზების სამეფო“, მიჩნეული შეცნიერთა მიერ ასევე ლეკების სამეფოდ. კუფური (კუთხოვანი არაბული ანბანით ნაწერი) წარწერების აღმოჩენა ლეკების სოფლებში, რომლებიც IX-X საუკუნეებით თარიღდებიან, არაბულ-მუსლიმურ სამყაროსთან მათი ადრეული პოლიტიკური და კულტურული კავშირების მაჩვენებელია. როგორც ჩანს, ლეკების

სოფლების დიდი ნაწილი წარმოიქმნა XIV ს-ზე ბევრად უფრო ადრე. XVIII საუკუნეში ლეკების ტერიტორია მიიტაცა მეზობელმა ყაზიყუმუხის სახანომ. 1812 წელს, როდესაც იგი შეეყიდა რუსეთის შემადგენლობაში, მასში მოექცა ლეკებით დასახლებული ტერიტორიაც.

თაბასარანელები. მათი რაოდენობა 35 ათასს შეადგენს. ისინი მოსახლეობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ დაღესტანში — ხიფისა და თაბასარანის რაიონებში. XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისში თაბასარანი შედგებოდა ორი ფეოდალური სამფლობელოსგან. XIX ს-ის პირველ სახეყარში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ კი სამფლობელოები გაუქმდა, მაგრამ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა აქ კიდევ დიდხანს შემორჩა და ბატონყმობა მხოლოდ 1913 წელს იქნა გაუქმებული.

XIX-XX საუკუნეების ავტორებში, განსაკუთრებით ცნობილ კავკასიოლოგის *ა.ფალრის* შრომებში მიღებული იყო, რომ თაბასარანელები დაღესტანში გადმოსახლებული მონღოლური წარმოშობის ხალხია. გარდა ამისა, სხვადასხვა თვალსაზრისით მათ წინაპრებად ხან სომხებს, ხან ებრაელებს და ხანაც სპარსელებს მიიჩნევენ. თანამედროვე მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს მოსაზრებები უსაფუძვლოა და თაბასარანელები დაღესტნის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ, მათი ჩამოყალიბება მომხდარა დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, სადაც დღესაც მოსახლეობენ. ამის დასაბუთებად მიიჩნევენ ისტორიულ წყაროებს, ენობრივ მონაცემებს, მატერიალური და სულიერი კულტურის სხვადასხვა ფაქტებს. თვით VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაშიც“ („აშხარაცუოც“) თაბასარანელები *„თავას-*

პარეების“ სახელწოდებით ცალკე ტომადაა მოხსენიებული დაღესტნის ხალხებს შორის. თაბასარანელების არსებობა ცნობილი ყოფილა IX-XII საუკუნეებში არაბი ისტორიკოსებისთვისაც. მათი ენა განეკუთვნება დაღესტნური ენების ლეკურ ჯგუფს.

რუთულები სამხრეთ დაღესტნის მოსახლეობაა. ცხოვრობენ ისინი მდ. სამურას ზემო წელში. რაოდენობით დაღესტნის ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხია. მათი რაოდენობა 7 ათას კაცს შეადგენს.

როგორც ჩანს, მათი ჩამოყალიბება მოხდა მდ. სამურის ხეობის იმ ადგილებში, სადაც ისინი დღესაც მოსახლეობენ. თუმცა, რუთულების სოფლები სამხრეთ დაღესტნის და ჩრდილო აზერბაიჯანის სხვა რაიონებშიც არსებობენ. ბევრი თანამედროვე რუთულური სოფელი ძველი წარმოშობისაა. აქაზე მეტყველებს ამ სოფლებში არსებული XI-XIII საუკუნეების კუფური წარწერები. კერძოდ, ისინი აღმოჩენილია სოფლებში ხრეკი, მიხრეკი, ამსარი და ლუხეკი. ხოლო ს. შინაზის შესახებ მოიპოვება 1275 წლის ცნობა, რომლის მიხედვითაც ივი მსხვილი დასახლებული პუნქტი ყოფილა, სადაც მისდევდნენ იარაღის (ხმლების, ხანჯლების, დანების) დამზადებას. 1599 წლიდან ცნობილია ფაქტი „ხნოველოთა ლაშქრის“ მონაწილეობისა თარკის შამხალის ჯარში. მე-19 საუკუნის დასაწყისში რუთულელთა მახლობელ ტერიტორიაზე დამყარდა რუსეთის ხელისუფლება. 1839 წელს მოხდა რუთულელების საბოლოო შეერთება რუსეთთან.

წახურები მცირერიცხოვანი ხალხია. ისინი სამხრეთ დაღესტანში ცხოვრობენ მდ. სამურის ზემო წელზე. რუთულების

შეზობლად. დაღესტანში ცხოვრობს სულ 4 ათასი წახური და 2 ათასიც აზერბაიჯანში, მაგრამ აზერბაიჯანელ წახურებმა მათი ძლიერი ეთნიკური და კულტურული გავლენა განიცადეს და ამ მხრივ მათგან დიდად არ განსხვავდებიან.

პირველი წერილობითი ცნობები წახურების შესახებ გვხვდება ძველ სომხურ და ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში, სადაც ისინი *„წაქების“* სახელით მოიხსენებიან. VII-VIII საუკუნეებში მათ ტერიტორიაზე შეიჭრნენ არაბები, რომლებმაც მათ და ლეკებს მიაღებინეს ისლამი. XV საუკუნიდან წახურების მეთაური იყო მშართველი ე.წ. „წახურების სულთანის“ სახელით. მისი რეზიდენცია იყო თავდაპირველად სოფელ *წახურში*, მაგრამ XVII საუკუნეში იგი გადატანილ იქნა ამერკაკკასიის ტერიტორიაზე სოფელ *ელისუში*. ამ დროიდან ისინი მჭიდროდ დაუკავშირდნენ აზერბაიჯანელებს — მიიღეს მათი ენა, ტანსაცმელი, არქიტექტურის ელემენტები, ფოლკლორიც კი. 1803 წელს წახურები რუსეთის მშართველობის ქვეშ მოექცნენ. ელისუს სასულიერო ტერიტორიული დამოუკიდებლობაც კი მიენიჭა, მაგრამ 1844 წელს ელისუს სულთანი დანიელ-ბეგი შამილს მიეშველა და მისი სასულიერო რუსებმა გააუქმეს, ხოლო 1852 წელს, იმის შიშით, რომ წახურები შამილის მხარეს არ გადასულიყვნენ, რუსებმა ისინი აზერბაიჯანში გადაასახლეს. 1860 წელს დაღესტნის ტერიტორიების რუსეთის იმპერიის მიერ საბოლოო შემოერთების შემდეგ წახურებს თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების უფლება დართეს. წახურების ენა ეკუთვნის კავკასიური ენების ლეკურ ენობრივ ჯგუფს. დაღესტნელი წახურებისთვის სალიტერატურო ენა რუსულია, ხოლო აზერბაიჯანელი წახურებისთვის — აზერბაიჯანული.

მთის ებრაელების უმეტესი ნაწილი — 15 ათასი კაცი ამჟამად მოსახლეობს დაღესტანში, ხოლო 10 ათასამდე კაცი — აზერბაიჯანში. ადრე ისინი დაღესტნის მთებში ცხოვრობდნენ, საიდანაც მიიღეს თავიანთი სახელწოდება. მთის ებრაელები შეტყველებენ *თათების* ენაზე, რომელიც ახალსპარსულის განსაკუთრებულ კილოკაჯს შეადგენს. ამიტომ, ისინი ცნობილია აგრეთვე, როგორც *მთის ებრაელების*, ისე *თათების* სახელწოდებით. ამავე დროს, თათების სახელით ცნობილია აზერბაიჯანის სხვადასხვა მოსახლეობაც, რომლებიც იმავე ენაზე შეტყველებენ, მაგრამ წარმოშობით წარსულში რელიგიითაც სხვა ხალხებს წარმოადგენენ; კერძოდ, მთის ებრაელები *იუდაისტები* არიან, ხოლო საკუთრივ თათები *ისლამს* აღიარებენ.

მთის ებრაელები კავკასიის უძველესი მოსახლეობის ჯგუფში შედიან. მათი წინაპრები ჯერ კიდევ უძველეს დროს მოსახლეობდნენ საშრეთ აზერბაიჯანის, ანუ ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე — მიდია-ატროპატენაში, სადაც ითვისეს თათური ენა იუდაისტური რელიგიის შენარჩუნებით. ჩვ.წ. V-VI საუკუნეებში, როდესაც ისინი უკვე შერეულები იყვნენ სხვა ხალხებს, მთის ებრაელები, ანუ თათები, გადასახლდნენ კასპიისპირა დაბლობებში, აქედან მოკიდებული თანდათან მათი ჩამოყალიბება მიმდინარეობდა დაღესტნის მთებში. XIX საუკუნეში ისინი დაღესტნის სხვა ხალხებთან ერთად რუსეთის იმპერიამ შეიერთა.

VI. კავკასიის სხვა ხალხები

1. აფხაზები*

1959 წლის აღწერით, აფხაზების რაოდენობა 65 ათასს კაცს შეადგენს. გარდა ამისა, აფხაზების გარკვეული ნაწილი მოსახლეობს თურქეთში. ითვლება, რომ აფხაზები არიან იმ *აბეშელას* ტომის მემკვიდრეები, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ასურულ წარწერებში იხსენიება ძ.წ. XI საუკუნეში. ისინივე უნდა იყვნენ *აბაზგების* და *აფსილების* სახელით მოხსენიებული ტომები ანტიკურ ავტორებთან. ყოველ შემთხვევაში, აფხაზები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველეს მოსახლეობას შეადგენენ.

აფხაზების ეთნიკური ფორმირება დაახ. ახ.წ.VIII საუკუნეში დაიწყო და იგი თვით XIX საუკუნემდე გრძელდებოდა. მეცნიერებაში ორი თვალსაზრისი არსებობს იმ აფხაზების ეთნიკური კუთვნილების შესახებ, რომლებმაც VIII-IX საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ეგრის-აფხაზთა სამეფო შექმნეს. ერთი მოსაზრებით ითვლება, რომ ისინი ქართული წარმოშობის ტომი

---

* აფხაზები კავკასიის ერთ-ერთი ძირძველი ხალხია. ცხადია, კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის შესახებ ნაშრომში მათზე ცნობების მოთავსება აუცილებელი იყო. ამავე დროს, წიგნის სტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნარკვევი მათ შესახებ ვერ მოთავსდებოდა ქართველების ან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისადმი მიძღვნილ მონაკვეთებში — თანამედროვე აფხაზები ქართველები არ არიან და ცხოვრობენ კავკასიონის ქედს გადმოღმა, ე.ი. სამხრეთ კავკასიაში. ცალკე თავადაც მათი გამოყოფა მცირე მოცულობისა და მნიშვნელობის გამო არ იყო მიზანშეწონილი. ამიტომ, ცნობები აფხაზების შესახებ ცალკე თავში მოთავსდა — „კავკასიის სხვა ხალხები", კავკასიის არაძირითად მოსახლეებთან, ქურთებთან და აისორებთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორია, რომელზედაც აფხაზები ცხოვრობენ ყოველთვის იყო ქართული და ამჟამადაც ასეა.

იყო და გვიან შუასაუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან ადიღელ ტომების გადმოსახლების შედეგად მოხდა მათი ასიმილირება, ხოლო მეორე მოსაზრებით, ისინი ქართველ ტომთაგან იმთავითვე განსხვავებულ ეთნიკურ ერთეულებს შეადგენდნენ. ყოველ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული ეგრის-აფხაზეთის სამეფო ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა და მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების საქმეში X საუკუნის ბოლოს.

აფხაზეთში, ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად (IV საუკუნიდან) გავრცელებული იყო ქრისტიანული რელიგია, მართლმადიდებლობა (დასავლეთ საქართველოს ეპარქიები ბიზანტიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და მხოლოდ X საუკუნიდან მოხდა მათი ქართული ეკლესიის წიაღში გადმოყვანა რიგი ორგანიზაციული ცვლილებების გზით — ფოთის მიტროპოლიის ნაცვლად შეიქმნა ჭყონდიდის საეპისკოპოსო, გუდაყვის საეპისკოპოსო შეცვალა ბედიის საეპისკოპოსომ და სხვ.), მაგრამ XV საუკუნის დასასრულიდან ერთბაშად, ამ ტერიტორიაზე შეწყდა ეკლესიების აშენებლობა, ქრისტიანული მღვდელმსახურება და გავრცელდა სუნიტური მიმდინარეობის ისლამი. მოხდა მთელი რიგი ცვლილებები სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში. სწორედ ეს აძლევს მკვლევარებს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ამ დროს (XV საუკუნის ბოლოდან), აქ მოსახლე ძირძველი ქართული ტომების დასუსტების შედეგად (გაუთავებელი ფეოდალური შინაომები, გარეშე მტრების — ოსმალების თავდასხმები) ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ადიღეული ტომე-

ბის ჩამოწოლა-მოძალება. მათ მოახდინეს აქ დარჩენილი ძველი აფხაზების ასიმილირება, მიიღეს მათი სახელი და გაბატონდნენ ამ ტერიტორიებზე. ასიმილაციის პროცესი მათ მეტ-ნაკლები წარმატებით განახორციელეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში და ამის გამო ჩამოყალიბდა ამ გვიანდელი აფხაზეთის სამი ტერიტორიული-ტომობრივი ჯგუფი: *გუდაუთის, ანუ ბზიფის, აბეკუის, ანუ კოდორის, სამურზაყანოს* (საქართველოსთან მეზობლობაში).

აფხაზების (ისინი თავისთავს *აფსუებს* ეძახიან) ენა ენათესაურება აბაზებისა და ადიღეელთა ენებს და მათთან ერთად შეადგენს კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლურ (აფხაზურ-ადიღეურ) ჯგუფს.

2. ქურთები*

ქურთები წარმოადგენენ მცირე აზიის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მთიანი ნაწილის, აგრეთვე მომიჯნავე ტერიტორიების ძირეულ მოსახლეობას. აშკარად ისინი მოსახლეობენ თურქეთში (ყველაზე მეტი 3 მილიონი ადამიანი), ირანში (1 მილიონ 700 ათასი), ერაყში, სირიაში, ლიბანში, აღლანეთში, სომხეთში, საქართველოში. მათი უძველესი ისტორია არასაკმარისადაა შესწავლილი. მათი წინაპრების შესახებ ცალკეულ ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ ძვ.წ.II ათასწლეულის წყაროებში. ქურთი ხალხი ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ შუამდინარეთში (მესოპოტამიაში) III-IV საუკუნეებში სხვადასხვა ხალხ-

---

* ქურთები და აისორები კავკასიის აბორიგენ მცხოვრებლებს არ განეკუთვნებიან. მაგრამ იმის გამო, რომ მათი ყოფა და კულტურა შეესისხლხორცა ადგილობრივ მცხოვრებთა კულტურასა და ყოფას, საჭიროდ ჩავთვალეთ მათ შესახებ ცნობების აქ ჩართვა.

ების შერეული გზით, რომელთაც შეუერთდნენ აქ გადმოსახლებული ირანული ტომების ერთი ნაწილი. VII-X საუკუნეებში. არაბთა სახალიფოს არსებობის პირობებში მის შემადგენლობაში მოქცეულმა ქურთებმა მიიღეს ისლამი, აქტიურად ჩაერთნენ სახალიფოს საშინაო-პოლიტიკურ საქმიანობაში, დაიკავეს იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც ქურთისტანის სახელითაა ცნობილი და მოახდინეს აქ მოსახლე ძველი ტომების ასიმილირება. შემდეგშიც ქურთები აქტიურ ეთნიკურ პროცესებში იყვნენ ჩაბმული, განსაკუთრებით თურქ-სელჩუკთა შემოსევების და წინა აზიის ტერიტორიებზე მათი ბატონობის დროს (XI-XIII საუკუნეები). საისტორიო წყაროების მოწმობით XIII-XV საუკუნეებში ქურთებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მათი დასახლების ადგილებში შემოჭრილ ჯვაროსნებს, მონღოლებს და თემურ-ლენგს. ბოლოს და ბოლოს ტერიტორიები გვიან შუასაუკუნეებში მოექცა ოსმანებისა და ირანის დამოკიდებულების ქვეშ. რუსეთმაც მიიღო ქურთებით დასახლებული ტერიტორიების ნაწილი გულისტანის (1813) და თურქმანჩაის (1828) სახავო შეთანხმებების მიხედვით.

ქურთების გარკვეული ნაწილი საქართველოშიც ცხოვრობს. რელიგიური ან ეთნიკური ჩაგვრა აქ მათ არასოდეს არ განუცდიათ. XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნეში ქურთული წარმოშობის მხარგრძელების ქართული ფეოდალური საგვარეულო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში — ქურთი სარგის მხარგრძელის ჩამომავლებს ზაქარიას და ივანეს, ისევე როგორც მათ შემდგომ მემკვიდრეებს უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ — ამირსპასალარის, შანდატურთუხუცესის, ათაბაგის და ა.შ.

ქურთული ენა განეკუთვნება ირანული ენების დასავლურ ჯგუფს. შედგება რამდენიმე დიალექტისაგან. რელიგიურად ისინი მუსლიმი-სუნიტები არიან, ნაწილობრივ კი მუსლიმი-შიიტებიც. მნიშვნელოვანი ნაწილი გაერთიანებულია ასევე სხვადასხვა რელიგიურ სექტებში, ერთი მათგანია იეზიდები, რომლებიც სწორედ საქართველოში მოსახლე ქურთებშია მიღებული და გავრცელებული.

3. აისორები, ასურელები

აისორები, ასურელები — სემიტური მოდგმის ხალხი, რომლებიც ძირითადად ცხოვრობენ ირანში, ერაყში, თურქეთში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსა, საქართველოსა და სომხეთში. მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 1 მილიონ კაცს შეადგენს.

ასურელების წინაპრებად ითვლებიან *არამეელები,* რომლებსაც ფართო ტერიტორია ეკავათ ახლო აღმოსავლეთში. მათ განიცადეს ძლიერი ასიმილაცია არაბული (VIII-X საუკუნეებში) და მონღოლურ (XIII-XV საუკუნეებში) დაპყრობებისა და შემოსევების შედეგად. ისინი ცნობილია აისორების სახელწოდებითაც. ეს სახელი გავრცელებული იყო რუსათში და დამამცირებლად ითვლებოდა.

ქართულ წერილობით წყაროებში ასურები XVIII საუკუნიდან დასტურდებიან „ასურნი"-ს სახელით. საქართველოში ისინი მოსახლეობენ თბილისში, მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში.

ასურელების ენა განეკუთვნება სემიტური ჯგუფის ახალსირიულს. სარწმუნოებით ისინი ქრიტიანები არიან, კერძოდ — იაკობიტები, ნესტორიანელები, აგრეთვე კათოლიკენი და მარონლმადიდებლები.

ბოლოსიტყვაობა

XI საუკუნეში საქართველოში შეიქმნა ერთი კონცეფციით გამსჭვალული საისტორიო თხზულებების კრებული, ქართული საისტორიო მეცნიერების დედაბოძი „ქართლის ცხოვრება". მასში, არამარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ხალხთა ისტორიაა მეტნაკლები სისრულითა და მოცულობით წარმოდგენილი. კონკრეტული ისტორიის, მრავალი ისტორიული ფაქტის გადმოცემასთან ერთად, ძანში მრავალი ზოგადი სასიათის თვალსაზრისი და კონცეფციაა გატარებული. ერთ-ერთი მათგანია იდეა კავკასიის ხალხთა ერთიანობის, საერთო წარმომავლობის, თანამოძმეობის, სისხლისმიერი ნათესაობის შესახებ. ამ იდეით იყო გამსჭვალული ქართული ჰოლიტიკური აზროვნება, მისი არსებობის მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში — მაშინაც, როდესაც ქვეყანა სხვადასხვა გარეშეებათა გამო ჰოლიტიკურად, ხშირად ეკონომიკურადაც, დაშლილ-დაქუცმაცებული იყო.

წინამდებარე ნაშრომში თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მონაპოვართა საფუძველზე კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის ზოგადი მიმოხილვისას, ვფიქრობთ, კარგად გამოჩნდა, თუ უველასი არა, ამ ხალხების დიდი ნაწილის მაინც საერთო წარმომობა, მათი ნათესაობა, ერთიანი კავკასიური სახლის არამარტო ჰოლიტიკური ცნების სახით, არამედ გენეტიკურადაც რეალურად არსებობა.

მართალია, და ეს აქ წარმოდგენილ ნარკვევებშიც აისახა. კავკასიაში ძოსახლე ხალხების ნაწილი ინდოევროპული წარმოშობისაა, ნაწილი იბერიულ-კავკასიურია, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი ადორიგენულია, ადგილობრივი წარმოშობისაა, საერთო ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის მატარებელია.

ვფიქრობთ, ეს ძველისძველი იდეა, რომაც გამსჭვალული იყო კავკასიის ხალხთა აზროვნება ათასწლეულების განმავლობაში, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიხედვითაც დასტურდება და ძომავალშიც ახალ-ახალი ფაქტებით განმტკიცდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟორდანია გ., კავკასიური შუზეუმის დაარსება, თბ., 1951.

2. ჩიტაია გ., ქართული ეთნოლოგია, „მიმოხილველი“, I, ტფ., 1926.

3. ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

4. ჭანტურიშვილი ს., ეთნოლოგია, თბ., 1993.

5. ჭანტურიშვილი ს., ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია, თბ., 1989.

6. შესაბამისი სტატიები — „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 1-11.

7. *Культура и быт народов Северного Кавказа, М., 1968.*

8. *Народы мира. Народы Кавказа, т. I, М., 1960.*

9. *Народы мира. Народы Кавказа, т. II, М., 1962.*

10. *Хозяйство и материальная культура народов Кавказа, М., 1968.*

11. *Советская Историческая Энциклопедия, т. 1-16. (შესაბამისი სტატიები).*

12. *ИКОИМАО, IV, 1915 – Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества.*

შინაარსი

წინასიტყვაობა — 3

ნაწილი I. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის ისტორია — 4

ნაწილი II. კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები — — — — — — — — — — — — — — — — 42

I. ქართველები — — — — — — — — — — — — — — — — — — 42

II. სომხები — — — — — — — — — — — — — — — — — — — 51

III. აზერბაიჯანელები — — — — — — — — — — — — — — — — 59

IV. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები — — — — — — — — — — — 68

1. ყაბარდოელები და ჩერქეზები — — — — — — — — — — 75

2. ადიღეელები — — — — — — — — — — — — — — — — — 76

3. აბაზები — — — — — — — — — — — — — — — — — — 78

4. ყარაჩაელები — — — — — — — — — — — — — — — — 79

5. ბალყარები — — — — — — — — — — — — — — — — — 80

6. ოსები — — — — — — — — — — — — — — — — — — — 81

7. ჩეჩნები — — — — — — — — — — — — — — — — — — 84

8. ინგუშები — — — — — — — — — — — — — — — — — — 85

9. ნოღაელები — — — — — — — — — — — — — — — — — 87

V. დაღესტნის ხალხები (ყუმუხები, ავარები, დარღელები, ლაკები, ლეკები, თაბასარანელები, რუთულები, წახურები, ფოის უბრაელები) — — — — — — — — — — — — — — — — — 88

VI. კავკასიის სხვა ხალხები — — — — — — — — — — — — — — 96

1. აფხაზები — — — — — — — — — — — — — — — — — — 96

2. ქურთები — — — — — — — — — — — — — — — — — — 98

3. აისორები — — — — — — — — — — — — — — — — — — 100

ბოლოსიტყვაობა — — — — — — — — — — — — — — — — — — 101

გამოყენებული ლიტერატურა — — — — — — — — — — — — — 102